

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი  
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ იგ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ლელა სარალიძე

სამხედრო სკოლა (იუნიტები)  
კირველი დემოკრატიული  
რესპუბლიკის დროს

მეომრის ბიბლიოთეკა №6

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მექქსე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეჯე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX საუკუნეების გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოცნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

მეცნიერებათა დოქტორი,  
ვიცე პოლკოვნიკი

თემურ დალაქიშვილი

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი დოდო ჭუმბურიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნინო გიგანი  
ყდის დიზაინი: გიორგი კიკნაძე

რედაქტორი: ნარგიზ ხარაბაძე

ტექნიკური რედაქტორი: მარი ჭონიშვილი

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების  
გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო  
დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის  
ტოპოგრაფიული სამსართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

1918 წლის 26 მაისს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მონარქიული წყობილება შეიცვალა რესპუბლიკურით, რითაც ქართული სახელმწიფოებრიობის ოცდაათსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ობიექტური გაშუქება დიდი ხნის მანძილზე იკრძალებოდა კომუნისტური რეჟიმის მიერ. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს სამწლიანი მონაკვეთი მრავალმხრივ არის საინტერესო. დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურები, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდნენ, როდესაც რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ანექსია განხორციელდა.

დამფუძნებელი კრების\* საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებას. დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი 1919 წელს შეადგინდა 1 950 380 000 მანეთს; აქედან სამხედრო სამინისტროს, ყველა უწყებაზე მეტი, 539 მილიონი მანეთი გამოეყო. იმავე წელს შეიქმნა სამხედრო სკოლა. სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში იყო: 3 ქვეითი ბრიგადე — თითო საარტილერიო დივიზიონით, 6 სანაპირო რაზმი, თბილისის სადარაჯო ათასეული, საარმიო-საარტილერიო დივიზიონი, მესანგრეთა ათასეული, ცხენოსანი რაზმი, ავტომობილთა გუნდი, საავიაციო გუნდი და რადიოტელეგრაფის გუნდი. სამხედრო სამსახურში, მიახლოებითი მონაცემებით, იმყოფებოდა: 1161 ოფიცერი და სამხედრო მოხელე, 13. 167 ჯარისკაცი, 587 ნებაყოფლობით მომსახურე ჯარისკაცი. აქედან მწყობრში იყო: 870 ოფიცერი და სამხედრო მოხელე, 13. 425 სამხედრო ვალდებულებით გაწვეული ჯარისკაცი, 486 ნებაყოფლობით მომსახურე ჯარისკაცი; სამხედრო სამინისტროსა და მის დაწესებულებებში 301 ოფიცერი და სამხედრო პირი, 742 სავალდებულო ვადით, ხოლო 101 ნებაყოფლობით მომსახურე ჯარისკაცი. გენერალ მაზნიაშვილის ცნობით, ქართული ჯარის საერთო რიცხვი აღწევდა 20.000-სს; ამ რიცხვში ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილების გარდა, მას შეჰყავდა კიდევ 1 ცხენოსანი ლეგიონი, ერთი საავტომობილო ასეული და 4 ჯავშნიანი მატარებელი. რაც შეეხება ჯარის მობილიზაციას და მობილიზაციურ აპარატს, სამხედრო კანონის თანახმად, ჯარი, ომის დროს უნდა გასამებულიყო, ასე მაგალითად: 12 ათასეული გადაიქცეოდა 36 ათასეულად, რაც გვარდიის 23 ათასეულთან ერთად, 50-55 ათას ჯარისკაცს შეადგენდა. აღნიშნული კანონის ერთ-ერთი მუხლის თანახმად: „თუ სამშობლო განსაცდელშია, კანონმდებელ ორგანოს შეუძლია გაიწვიოს ჯარში რესპუბლიკის ყველა მოქალაქე 17-დან 55 წლამდე“. როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ხოე რამიშვილი აცხადებდა: „რა მომენტშიაც მოითხოვს საჭიროება, მე მზადა მყავს 60.000 კაციო“. სამწუხაროდ, 1921 წელს ბოლშევიკებთან ომის დროს, სამობილიზაციო აპარატი ასეთი მობილიზაციისათვის მომზადებული ვერ აღმოჩნდა. 1919 წელს სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნა 19. 000 ახალგაზრდა, 1920-ში—21.000. საყოველთაოდ მიღებულია, რომ მობილიზაციის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია სამხედრო სამსახურში გაიწვიოს ქვეყნის მცხოვრებთა 10-12%. აღნიშნული წესით, იმ დროისათვის ქვეყნის ორ მილიონ მცხოვრებზე შესაძლო იყო სამობილიზაციო აპარატი მოწყობილიყო არა 55.000 კაცისათვის, არამედ 200.000 კაცისათვის.

არსებობს ჯარის ორგანიზაციის ორი ფორმა: 1) ჯარის მოწყობა მილიციის სახით და 2) რეგულარული ჯარი. მილიციური სისტემის დროს არ არსებობს მუდმივი ჯარი, მოქალაქენი სამხედრო მომზადებას სამხედრო კურსებზე და განმეორებით კურსებზე გადიან. მომზადებული და დისციპლინირებული ჯარის შენახვა სახელმწიფოს გაცილებით დიდი თანხები უჯდებოდა; სამაგიეროდ ჯარისკაცები, რომლებიც იხდიდნენ სამხედრო ბეგარას, მუდამ მზადყოფნაში იყვნენ მტრის ასალაგმად; ამასთანავე იყვნენ დისციპლინირებულნი. იმ მიზნით, რათა სარბიელი გახსნოდა ქართულ სულში ბუნებით თანდაყოლილ მხედრულ მისწრაფებებს, საჭირო იყო მშვიდობიან მცხოვრებთა დარაზმვა ქვეყნის სამსახურში; როგორც სამხედრო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, ალექსანდრე ჩხეიძე ამბობდა: „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ომი ძალთა გამოცდა მთელი ერის და არა მისი რომელიმე ნაწილის; და ორგანიზაციაც შეიარაღებულ ძალთათვის უნდა შეიქმნას ისეთი, რომელიც ერს მისცემს საშუალებას ყველა თავისი ძალები გამოიყენოს“.

ქართულ სამხედრო ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით საინტერესოა 1919 წელს ქართული სამხედრო სკოლის დაარსების და ამ სკოლიდან გამოსულ პატრიოტ იუნკერთა სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის ისტორია. აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი აქტუალურია დღესაც, როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული არმიის მშენებლობას.

1919 წელს, გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწეების დიდი შრომითა და ძალისხმევით შეიქმნა სამხედრო სკოლა, რომელიც ქართული მხედრული დიდებისა და ძველი ქართული სამხედრო ხელოვნების ღირსეული გაგრძელება იყო. სკოლა გაიხსნა 1919 წლის 5 სექტემბერს. ძირითადი მოთხოვნა იყო საშუალო განათლება და კარგი ფიზიკური მდგომარეობა. რუსეთიდან ჩამოსულ ზოგიერთ ახალგაზრდას, არ ჰქონდა არავითარი საბუთი, რაც სკოლაში მათი მიღების სიძნელეს ქმნიდა. სამხედრო სკოლის აღზრდილთა მიერ კოჯორსა და ტაბახმელასთან, 1921 წლის თებერვალში, გადახდილი ბრძოლები და გმირული თავდადება დავითის, თამარის, ერეკლეს დიდი გამარჯვებების ბრწყინვალე გამოძახილი იყო.

1917 წლის ოქტომბრის ე.წ. რევოლუციის შემდეგ დაიწყო განაპირა ქვეყნების რუსეთისგან ჩამოშორების პროცესი, დაირღვა კავკასიის ფრონტი. ამ პერიოდში დაარსდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემადგენლობით. ამავე დროს, დაიწყო ეროვნული სამხედრო ნაწილების შედგენა. ქართული კორპუსის შექმნა მიენდო პოლკოვნიკ სტეფანე ახმეტელაშვილს, შტაბის უფროსად დაინიშნა კაპიტანი იოსებ გელევანიშვილი. თანამედროვეთა გადმოცემით, ს. ახმეტელაშვილი ხაზის კარგი ოფიცერი იყო, მაგრამ აკლდა კორპუსის უფროსისათვის საჭირო მომზადება და გამოცდილება ასეთი ფრიად სერიოზული საქმისთვის; რაც შეეხება ი. გელევანიშვილს, იგი 12-15 წელიწადი უკვე აღარ მსახურობდა არმიაში.

ცხადი გახდა სამხედრო სკოლის დაარსების აუცილებლობა ნაცვალთა\* და ოფიცერთა მოსამზადებლად. სამხედრო სკოლის პროექტის შესადგენად შტაბში მიიწვიეს პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. თავდაპირველად გადაწყდა ქართულ კორპუსთან დაარსებულიყო ორგუნდიანი ნაცვალთა ათასეული. ათასეულის

უფროსობა სწორედ მას დაევალა. მოგვიანებით სკოლის გახსნასთან დაკავშირებით აღ. ჩხეიძე წერს: „როდესაც ვიგონებ სკოლის გახსნის დღეს, ძალაუნებურად მაგონდება ის განცდანი, რომელიც პირადად მე ვიგრძენი. არ ვიყავი უკვე ახალგაზრდა ოფიცერი, თან მახლდა 26 წლის პრაქტიკა სამხედრო დარგში. მქონდა მიღებული დიდი გამოცდილება რუსულ სამხედრო სკოლებში სამსახურით და გარდა ამისა საბრძოლო გამოცდილება დიდ ომში მიღებული. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მომზადება მქონდა საკმარისი და ეს მაძლევდა უფლებას ამეღო ჩემ თავზე ისეთი მძიმე ამოცანა, როგორიც ახალგაზრდების აღზრდა და მათი სამხედრო ხელობაში გაწვრთნაა... სწორედ დადგა შესაძლებლობა შემესყიდა (ე.ი. გამომესყიდა ლ. ს.) მძიმე დანაშაული, რომელიც ჩავიდინეთ ჩვენ და თითქმის მთელმა ჩვენმა ერმა სხვა და სხვა დარგში მტრულ ერისადმი სამსახურით“ (იგულისხმება რუსეთის სამსახურში ყოფნა).

სამხედრო სკოლის ორგანიზაციის თვალსაზრისით, საგულისხმო იყო ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სკოლაში, ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ იწვრთნებოდა და აღზრდას ღებულობადა, როგორც მომავალი ოფიცერი, ისე ჯარისკაციც—მომავალი ნაცვალი. ერთად აღზრდა და გაწვრთნა ხელს უწყობდა ჯარის შედება—შეკავშირებას, ვინაიდან, როგორც სამხედრო სკოლის მესვეურები ფიქრობდნენ, ერთ ყაიდაზე აღზრდილი ოფიცერი და ნაცვალი გადაიტანდნენ მთელ ჯარში იმ წესრიგს და მოთხოვნილებებს დანერგავდნენ, რაც მათ ერთად შეითვისეს სკოლის კედლებში. სკოლის ხელმძღვანელობის აზრით, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს სასწავლებელი იქნებოდა ერთსულოვანი, დისციპლინირებული და მოვალეობის შეგნებით აღჭურვილი ჯარი. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის გამო. ყოველი სამხედრო ერთეულის შეფასება ხდება მის მიერ მიღწეული შედეგების, მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით. ქართული სამხედრო სკოლის იუნკრების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მტერთან ყოველი შეტაკებისას, ისინი, თითქმის ყოველთვის, გამარჯვებულნი რჩებოდნენ, თუმცა მსხვერპლიც არ დაჰკლებიათ. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყო პატარა გმირული ერთეული, აღჭურვილი საუკეთესო სამხედრო თვისებებით.

სკოლის საშტატო განრიგი უკვე 1917 წლის ბოლოს გამოცხადდა. სკოლის ორგანიზება უნდა მომხდარიყო ცალკე ათასეულის მსგავსად, ამასთან დაკავშირებით აღექსანდრე ჩხეიძე იგონებს: „... სწრაფად ავირჩიე ოფიცერთა შემადგენლობა და გამოვმებნე ძველი უვადო ნაცვლები. საუბედუროდ, ცვალებადი შემადგენლობა ანუ მოსამზადებელი მასალა ჯერ არსად ჩანდა და ეს იმიტომ, რომ ამ დროისათვის ჯერ არც პოლკების ორგანიზაცია იყო დასრულებული, არც გაწვევა იყო გამოცხადებული. მართალია, ამ მიზეზის გამო სკოლა უმოქმედობდა, მაგრამ დრო მაინც არ იკარგებოდა და გროვდებოდა ათასეულისათვის საჭირო ქონება და მოწყობილობა“.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მანამადე არსებული ნაცვალთა სკოლა და მთელი კორპუსი არსებული სახით გადმოვიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განკარგულებაში. გადაწყდა ნაცვალთა მომზადება გადასცემოდა პოლკებს, ხოლო ნაცვალთა ათასეულის სანაცვლოდ დაარსებულიყო სამხედრო სკოლა ოფიცერთა მოსამზადებლად. ამრიგად, ნაცვალთა ათასეულმა დაასრულა თავისი არსებობა.

1918 წლის 20 აგვისტოს გამოცხადდა ქართული ჯარების ახალი შტატები. იმთავითვე მიღებულ იქნა პრინციპული გადაწყვეტილება ქართული სამხედრო სკოლის დაარსების შესახებ. თავდაპირველად სკოლის უფროსად დაინიშნა გენერალი ანდრია ბერაშვილი, სკოლის უფროსის თანაშემწედ- ალექსანდრე ჩხეიძე. ყოფილ ნაცვალთა ათასეულის ყველა ოფიცერი, ათასეულის ქონებიანად (რომელიც იმ დროს დიდი იყო), გადავიდა ახლად დაარსებულ სამხედრო სკოლაში.

ამავე პერიოდში დაიშალა თბილისის კადეტთა კორპუსი. სამხედრო მინისტრის ბრძანებით, კორპუსის მმართველობისაგან, ჩამბარებელი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ალ. ჩხეიძე. სკოლის მოთავსება გადაწყდა ყოფილი თბილისის სამხედრო სასწავლებლის შენობაში. დასაწყისში სკოლას გადაეცა მხოლოდ შენობის ნაწილი, ვინაიდან დანარჩენი გვარდიელებს და მათ ქონებას ეკავათ.

1918 წლის 20 სექტემბერს, პოლკიდან სკოლაში სამთვიან კურსებზე გაიგზავნა 40 ოფიცერი კაპიტნის ხარისხით. კურსების პროგრამა ითვალისწინებდა ინსტრუქტორულ და ტაქტიკური მომზადების წესებსაც. სომხეთ-საქართველოს ომის გამო, 16 სექტემბერს გამოცხადდა მობილიზაცია, შესაბამისად გამოიცა ბრძანება განმეორებითი კურსიდან ოფიცირების პოლკებში დაბრუნების შესახებ.

1919 წლის თებერვლის რიცხვებში განმეორებით კურსებზე გაიგზავნა უმცროს ოფიცერთა მეორე შემადგენლობა. სწორედ, იმ პერიოდში დაიწყო შეტაკებები ახალციხის ფრონტზე. გაკვეთილების მეორე საათზე გაიცა ბრძანება ოფიცერთა პოლკებში დაბრუნების თაობაზე. ფრონტზე გაიწვიეს სკოლის ოფიცრებიც. ნაბრძანები იყო ხაზის მოწყობა ბორჯომში და ასევე ჯარის წინსვლასთან შეფარდებით, აწყურში და ახალციხეში. ალ. ჩხეიძე დაინიშნა მთლიანი ხაზის უფროსად. სამხედრო სკოლის ორი ოფიცერი (კაპ. ალავიძე და კაპ. არონიშიძე) შევიდნენ ოფიცერთა რაზმების უფროსთა შემადგენლობაში. მაისის დასაწყისში ბრძოლები შეწყდა და მივლინებული ოფიცრები სკოლას დაუბრუნდნენ.

1919 წლის პირველ აგვისტოს დამტკიცდა ახალი შტატები, რომლის მიხედვითაც შეიცვალა სამხედრო სკოლის მდგომარეობა და მან შემდეგი სახე მიიღო: სამხედრო სკოლის მოწაფეთა რიცხვი იფარგლებოდა 180 კაცით. ეს უნდა ყოფილიყო ერთი გუნდი. ამათგან პირველ წელიწადს უნდა მიეღოთ 90 მოწავლე, შემდეგში ყოველწლიურად 90 კაცი. პირველ კურსზე მოწაფეები გადიოდნენ საერთო თეორიულ სამხედრო კურსს და ქვეითი ჯარის მეცადინეობას. ბანაკად გასვლისას, მოწაფეები ნაწილდებოდნენ იარაღის სპეციალურ დარგებზე: 60 მიდიოდა ქვეითი ჯარის განყოფილებაზე, 10 საინჟინროზე, 15 საარტილეროზე და 5 საცხენოსნო დარგში. მეორე კურსზე სამხედრო სკოლის მოწაფეები 4 დარგისაგან შემდგარ პატარა რაზმს წარმოადგენდნენ. სამხედრო სკოლასთან იუნკერთა გუნდის გარდა, სკოლის ორგანიზაციის მიხედვით, უნდა ყოფილიყო ნაცვალთა ათასეული, ნაცვლების მოსამზადებლად, შემდეგი შემადგენლობით: 3 ქვეითი გუნდი, 3 ბრიგადის საჭიროებისათვის – სულ 150 კაციანი გუნდი. გარდა ამისა, ერთი გუნდი 70 კაციანი სანაპირო ჯარის გუნდი, ერთი მეტყვიამფრქვეველთა გუნდი, 150 კაცით და 8 ტყვიამფრქვევით, 80 კაციანი ბატარეია ორი საველე ზარბაზნით, ორი ქვემეხით და ერთი ჰაუბიცით. შემდეგში ამას კიდევ დაუმატა 25 კაციანი ცხენოსანთა მწყობრი.

იუნგერთათვის კურსის დაწყების დღედ დაინიშნა 1 სექტემბერი, ათასეულისათვის, – 15 ნოემბერი. ნაცვლებისათვის 8 თვიანი კურსი იყო.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, აგვისტოს პირველ რიცხვებში, სამხედრო სკოლის უფროსად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. სკოლის ყოფილი ხელმძღვანელი, – გენერალი ანდრეა ბენაშვილი გადაყვანილი იქნა ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსად. საარტილერიო და ცხენოსან განყოფილებათა ხელმძღვანელებად დაინიშნენ ძველი გამოცდილი ოფიცრები: კაპ. ქარუმიძე და კაპ. სულხანიშვილი. გენერალ გ. კვინიტაძის წინადადებით, იუნგერთა გუნდის უფროსობა მიენდო პოლკ. გარდაფხაძეს, როგორც ძველ, გამოცდილ და გამოჩენილ კადრის ოფიცერს (შემდეგში ის დაიღუპა სახელოვანი სიკვდილით). სკოლის უფროსის თანაშემწე იყო ალექსანდრე ჩხეიძე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური კომისიის მიერ, პოლკ. გარდაფხაძე და პოლკ. ჩხეიძე დაწუნებული იქნენ და მხოლოდ გენ. კვინიტაძის მოთხოვნის შემდეგ, გააგრძელეს მათ სამხედრო სკოლაში მოღვაწეობა.

საინტერესო იქნება გავიხსენოთ ცოტა რამ გიორგი კვინიტაძის ბიოგრაფიიდან. ზოგიერთი ცნობით, გიორგი ივანეს ძე კვინიტაძე დაიბადა დაღესტანში. მისი მამა ივანე სამხედრო პირი იყო. 13 წლის ასაკში მას გვარი გადაუკეთებია და რუსეთის სამსახურში შესულა. მანმადე ის ჩიქოვანი იყო. გიორგიც მამის კვალს გაჰყვა: თავდაპირველად სწავლობდა თბილისის კადეტთა კორპუსში, შემდეგ დაამთავრა პეტერბურგის საოფიცრო სამხედრო სკოლა და მსახურობდა თბილისის გარნიზონში, ვლადიკავკაზის პოლკში, შემდეგ პოლონეთში, ხოლო რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისას (1904 წ.), მისი სურვილით, განაწესეს შორეული აღმოსავლეთის ჯარებში. იყო მანჯურიაში, მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც მას ტყვიამფრქვეველთა რაზმი ჩააბარეს. იქ, მან სამხედრო ჯილდოებთან ერთად, ნამდვილი საბრძოლო ნათლობა მიიღო. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 36 წლის კაპიტანი – გიორგი კვინიტაძე შედის პეტერბურგის გენერალური შტაბის აკადემიაში, სადაც სწავლობს 1907-1909 წლებში. აკადემიადამთავრებულ გიორგი კვინიტაძეს, მაიორის ჩინით, გზავნიან ვარშავაში, მაგრამ მალე გადმოჰყავთ კავკასიაში. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო არმიის პოლკოვნიკი გიორგი კვინიტაძე, როგორც ნამდვილ ქართველ პატრიოტს შეჰქორის, ჩადგა დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში. გენერლობა მას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიანიჭა, რასაც დიდად აფასებდა. აღსანიშნავია, რომ გიორგი კვინიტაძის და ალექსანდრე ჩხეიძის მეუღლე გახლდათ.

სამხედრო სკოლის საორგანიზაციო მუშაობა შემდეგნაირად განაწილდა: გენერალი გიორგი კვინიტაძე უძღვებოდა სკოლის სასწავლო-თეორიულ ნაწილს და სკოლის გარეთ მუშაობას, ალ. ჩხეიძე განაგებდა სკოლის სამხედრო სწავლა-აღზრდის საქმეს, ამასთანავე იყო სამნეო ნაწილის მეთვალყურე.

თავდაპირველად სკოლის სასწავლო ნაწილი დიდი სიძნელების წინაშე აღმოჩნდა, რადგან: 1) სრულებით არ მოიპოვებოდა სასწავლო წიგნები, 2) გაძნელებული იყო ლექტორების მონახვა, 3) ორჯერ გამოიცვალა კადრების ინსპექტორი. სამხედრო სკოლის მოსწავლეებს ისტორიას ასწავლიდა პროფესორი

ივანე ჯავახიშვილი, ხოლო ქართულს ვასილ ბარნოვი. ნიკოლოზ მათიკაშვილი იგონებს: „სასწავლო პროგრამის თეორიულ დარგთაგან გვასწავლიდნენ: სამხედრო ისტორიას, ტაქტიკას, ტოპოგრაფიას, ფორტიფიკაციას. ამ დარგთა მასწავლებლები იყვნენ გენერლები: კვინიტაძე, ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი ვახვახიშვილი და სხვები... გვყავდა ერისკაცი მასწავლებელიც. ეს იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბარნოვი. გვიკითხავდა ის ლექციებს ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაში და თავისი სახოვანი, გულში ჩამწვდომი ქართულით გვინერგავდა სამშობლოს უზომო ერთგულებას და სიყვარულს. სკოლის საბოლოო მიზანი იყო მიეცა მსმენელთათვის საკმარისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სამხედრო ხელოვნებაში, ჩაენერგა მკაცრი დისციპლინა და ფიზიკურად მოემზადებინა მძიმე სამუშაოთა ამტანობისათვის“. პროფესორების ძირითადი ნაწილი სამხედრო პირები იყვნენ. მათგან ბევრს რუსულ სამხედრო აკადემიაში ჰქონდა მიღებული განათლება, თუმცა მცირე ნაწილმა იცოდა ქართული, რაც ქმნიდა ენის ბარიერს. გ. კვინიტაძემ ეს პრობლემა შემდეგნაირად გადაჭრა: ერთი ჯგუფი პროფესორებისა (2-3კაცი), რომელთაც სრულებით არ იცოდნენ ქართული ენა, თავიანთ საგანს კითხულობდნენ რუსულ ენაზე და ამავე ენაზე იღებდნენ პასუხს იუნკრებისაგან; მეორე ჯგუფი კითხულობდა რუსულ ენაზე, მხოლოდ პასუხს იღებდა ქართულ ენაზე, მესამე ჯგუფი კი ლექციებს, მხოლოდ ქართულ ენაზე კითხულობდა.

1919 წლის 5 სექტემბერს, სამხედრო სასწავლებელში, იმავე შენობის კედლებში, სადაც 12 წლის განმავლობაში იზრდებოდნენ რუსი სამხედროები, მიღებულ იქნა 90 ქართველი იუნკერი. სამხედრო სკოლაში მოხვედრა არც ისე ადვილი იყო, რადგან სკოლაში მოხვედრის მსურველთა რიცხვი ბევრად აღემატებოდა სკოლის შესაძლებლობებს. სამხედრო სკოლის კურსანტი ნიკოლოზ მათიკაშვილი, რომელიც 1920 წელს ჩაირიცხა სამხედრო სასწავლებელში, იგონებს: „...მთავარი სიძნელე გამოიხატებოდა სკოლის უფროსის, ალექსანდრე ჩხეიძის განაჩენში: ივარგებს თუ არა ქართველ აფიცრადა? ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ოჯახური ვინაობა გამომკითხა, განათლებით დაინტერესდა და დიდი დაფიქრების შემდეგ სკოლაში მიღების ღირსად ჩამთვალა“.

იუნკრების სამხედრო ფორმა შემდეგნაირი იყო: ღია მოლურჯო ფერის ფარაჯა, საყელოსა და ქუდზე ეროვნულ ფერებიანი მორთულობით, წითელი, კიდურიანი სამხრეულები ინიციალებით „სკ“ (სკოლა), თუშური ქუდი ეროვნული ფერებით მორთული და ზამთარში ბოხოხი. ოფიცრებს ეცვათ ინგლისური სტილის ფრენჩი და ფრანგული ფარაჯა.

სკოლაში იმთავითვე დამყარდა მკაცრი, ამავე დროს შეგნებული დისციპლინა. იმავდროულად მიმდინარეობდა ქართული ჯარების რეორგანიზაცია. ჯარი ჩატული იყო იმაში, რაც დარჩა რუსეთის არმიას. მხედრული ქცევა და მხედრული გამომეტყველება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ყოველივე ეს საჭიროებდა სპეციალურ მომზადებას, რაც სამხედრო სკოლიდან უნდა მიეღოთ. ამასთან დაკავშირებით ალ. ჩხეიძე იგონებს: „ქალაქის მცხოვრებნი, მართალია დაშორებულნი არიან სამხედრო საქმეს, ჯარისკაცის გარჩევის უნარი იმათაც შესწევთ; 1914 წლის შემდეგ აღარ ენახათ ნაძვილი სანიმუშო ჯარისკაცი და როდესაც ერთ მშვენიერ ღვინობისთვის დღეს ჩვენი ხელიდან ქალაქში 90 იუნკერი გამოვიდა, შთაბეჭდილება

იყო სრული... ქალაქში ყველამ შეამჩნია რაღაც სამხედრო ნაწილი, რომელიც მეტად ირჩევა სხვა სამხედრო ნაწილებისაგან. ოფიცრებმა შეამჩნიეს ვიღაც მხედრები, რომლებიც სალამს ასე ბეჯითად, სწრაფად და სანიმუშოდ იძლევიან. ყოველი მათგანი, ამ მოვლენით გაკვირვებული, იძულებული იყო შეჩერებულიყო, თვალი გაედევნებინდა და გულში გაეფიქრა კი მაგრამ, ვინ არიან ესენი?... ჩვენ იუნკრებს მიაქციეს ყურადღება, აგრეთვე საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო წარმომადგენლებმა. ყველა დაინტერესებული იყო, ყველა კითხულობდა: ვინ არიან?, ვინ არიან? და იღებდნენ პასუხს: ესენი ქართული სამხედრო სკოლის იუნკრები გახლავან! ქართული ჯარის სილამაზე და სიამაყე! ლაშქრის მომავალი ფუძე და ქვაკუთხედი. ეხლა კი შეიძლება დავუმატოთ: მომავალი ტაბახმელელები“.

ქართული სამხედრო სკოლის მომავალი ჯარისკაცები არც რუსებს გამორჩენიათ მხედველობიდან. ალ. ჩხეიძე იგონებს: „ერთმა რუსის პოლკოვნიკმა გამაჩერა ქალაქში და პირდაპირ მითხრა: მე რუსის ოფიცერი ვარ, მაგრამ არ შემიძლია არ გადმოგცეთ ის კმაყოფილება, რომელსაც განვიცდი თქვენი იუნკრების შეხვედრის დროს; დიდი ხანია ჩემს გამოცდილ თვალებს არ უნახავს ასეთი ყოჩალები“.

იმავე პერიოდში ჩამოყალიბდა სამხედრო სკოლის ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა, იმდროისათვის თბილისში კარგად ცნობილი ლოტბარი, ერნესტო გიჯინი.

1919 წლის დეკემბრისათვის შედგა ათასეულის 4 გუნდი, ერთი ბატარეა, ერთი მეტყვიამფრქვეველთა გუნდით; მალე ცხენოსანთა პოლკიდან შეიქმნა ცხენოსანი მწყობრიც. ათასეულში სულ რვაასი კაცი იყო. სკოლა ამზადებდა, როგორც მომავალ ოფიცერებს, ასევე ჯარის ნაცვლებს. ყველა იწვრთნებოდა ერთი სულისკვეთებით – სამშობლოს სიყვარულით.

იმ დროისათვის ცხადი გახდა, რომ ბოლშევიკები გაზაფხულზე აპირებდნენ ამიერკავკასიაზე შეტევას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა აზერბაიჯანის მთავრობასთან, რათა ერთობლივად ემოქმედათ ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1920 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის მინისტრის თანაშემწე გენერალი შიხლინსკი. იგი ეწვია ქართულ სამხედრო სკოლას, დაესწრო მეცადინეობებს და გულისყურით დაათვალიერა იქ მიმდინარე სასწავლო პროცესი. 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში გაიგზავნა ქართული სამხედრო კომისია გენერალ გიორგი კვინიჭაძის, მომავალი მთავარსარდლის, მეთაურობით. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობის წრეებში ყველაფერი არ იყო რიგზე, რადგან მთავრობის ზოგიერთმა წევრმა ბოლშევიკების შემოსვლას ხელი შეუწყო.

მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ცხადი გახდა რომ რუსეთის წითელი არმია, იმავდროულად საქართველოს ანექსიას ამზადებდა. დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში შეიარაღებული შემოჭრის საფრთხე, სულ უფრო რეალური ხდებოდა.

1920 წლის 26 აპრილს, ბოლშევიკებმა მოულოდნელად გადმოლახეს აზერბაიჯანის საზღვარი ზღვის ნაპირით, დაღესტნიდან. აზერბაიჯანის ჯარებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს მათ და ბოლშევიკები ბაქოში თავისუფლად, მატარებლით შევიდნენ. რაც შეეხება სომხეთს, რუსებმა მათ თურქები შემოუსიეს, რომლებმაც

სომხეთის მთავრობას წინადადებით მიმართეს, რომ იმ შემთხვევაში დაეხმარებოდნენ, თუ ისინი ხელისუფლებას გადასცემდნენ კომუნისტებს. სომხეთის მთავრობა იძულებული გახდა ეს წინადადება მიეღო, რის შემდეგაც განხორციელდა კიდეც სომხეთის გასაბჭოება. რაც შეეხება სომეხ ხალხს ისინი აჯანყდნენ, რამდენიმე თვის მანძილზე ეწინააღმდეგებოდნენ ბოლშევიკებს, თუმცა მაინც დამარცხდნენ. რომ არა სომეხი ხალხის ეს წინააღმდეგობა, რუსეთის წითელ არმიას, შესაძლოა, დეკემბერშივე შემოეტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

ბოლშევიკების აგრესიული პოლიტიკა შეუმჩნეველი არ დარჩენილა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. ჯერ კიდევ 1920 წლის დეკემბერში ინგლისის მთავრობამ, ლორდ კერზონის მეშვეობით სპეციალური შეკითხვა გაუგზავნა მოსკოვს, ხომ არ აპირებდა რუსეთი საქართველოს დაპყრობას! რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ჩიჩერინის პასუხის გამო, 1920 წლის 3 დეკემბერს ინგლისური გაზეთი „დეილი ჰერალდი“ წერდა: „ჩიჩერინის მიერ ლორდ კერზონისადმი გაგზავნილი იყო ნოტა ბათუმის საკითხის შესახებ. ნოტა პოლტესტს აცხადებს წინააღმდეგ იმის მტკიცებისა, თითქოს ბათუმი და საქართველო იმყოფება რუსეთის საფრთხის ქვეშ. ეს არ არის მართალი. ერთად ერთი საფრთხე, რომელიც (საქართველოს ლ. ს.) ემუქრება, ეს არის საფრთხე ანტანტისა.“\* რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ანტანტამ კი არა (დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა 1921 წლის 27 იანვარს იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა „დე იურე“-დ\*). რუსეთის მთელი პოლიტიკა მიმართულია პატარა ერების თვითგამორკვევის სასარგებლოდ, არავითარ მოთხოვნას საქართველოს მიმართ ადგილი არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ ბათუმი არ იყოს დაკავებული მტრის ძალების მიერ. საბჭოთა რუსეთს არ მიუღია და არც მიიღებს სამტრო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ...“

სინამდვილეში, მდგომარეობა სულ სხვაგვარად იყო. რუსეთი კვლავ აგრძელებდა ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას; როდესაც ინგლისში ჩიჩერინის ნოტა გამოქვეყნდა, იმავე დღეს, 3 დეკემბერს (1920 წ.) იწერებოდა საქართველოს დაპყრობის პირველი გეგმა რუსეთის მე-11 არმიის უფროსის, ნეკკერის მიერ. ქართველ პოლიტიკოსებს ხელში ჩაუვარდათ ნეკკერის მოხსენება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შესახებ, რომელიც დაწერილი იყო 1920 წლის 18 დეკემბერს და წარდგენილი იქნა, რუსეთის სამხედრო საბჭოში. მოხსენებაში ნეკკერის მიერ აღნიშნულია: „როგორც მე უკვე ვაუწყე, მიმდინარე 3 დეკემბერს, მეთერთმეტე არმიის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, თუ მეგობრულ ნეიტრალობას დაიცავენ კიაზიმ კარა ბექირის\* ჯარები, რადგან თუ ამ ოპერაციებისთვის დანიშნული იქნება მეთერთმეტე არმიის გარდა, მთელი მეცხრე არმია და კავალერიის ორი არმია, მაინც ჩვენ სარდლობას არ ეყოლება საკმარისი ძალები რომ თურქებს წინ გადაეღობონ იმედიანად“. მოხსენებიდან ჩანს, რომ ნეკკერი აანალიზებს ქართველებისა და თურქების ძალებს და დასკვნის, რომ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება შეიძლებოდა მხოლოდ ისეთ პირობებში, თუ ოსმალეთი ნეიტრალური დარჩებოდა. ნეკკერი წერდა: „ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა, რომელიც მოვალეობად მიმართა წერილობით გადმოგცეთ, ის არის, რომ

სანამ თურქებთან ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება არ იქნება მოგვარებული, სახიფათო იქნებოდა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება“.

1920 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა მოულოდნელად დაიკავეს ბაქო, საფრთხე შეექმნა საქართველოს დემოკრატიულ რესპულიკასაც. ქვეყნის მთავრობამ მიიღო საჭირო ზომები. სწორედ ამ დროს, სამხედრო სკოლის უფროსი გენერალი გ. კვინიტაძე დაინიშნა მთავარსარდლად, ხოლო მისი ადგილი აღ. ჩხეიძემ დაიკავა და სწორედ მას დაევალა სკოლის ხელმძღვანელობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა ბოლშევიკების თავდასხმის თავიდან ასაცილებლად; გენერალი გ. კვინიტაძე იგონებს: „უკვე 1-2 მაისს (1920), ბოლშევიკებმა მოახდინეს ცდა თბილისში გადატრიალებისა. 2 მაისს გადმოვიდნენ ჩვენს საზღვარზე წითელ ხიდიდან ხრამზე“. საზღვრის გარღვევის გასაადვილებლად ისინი იყენებდნენ ქართველ ბოლშევიკებს, რომლებიც ცდილობდნენ უწესრიგობა შეექმნათ საქართველოს დედაქალაქში და ხელში ჩაეგდოთ ქვეყნის მმართველობა. სწორედ, ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1920 წლის 2 მაისს, ისინი თავს დაესხნენ ქართულ სამხედრო სკოლას. ამ შეტაკების დროსაც იუნკრებმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღეს. ღამის 12 საათზე, ბოლშევიკების 20-25 კაციანი ჯგუფი, ა. მახარაძის ხელმძღვანელობით, შეიჭრა სკოლის შენობაში. ბოლშევიკებს, მათი აზრით, გადაწყვეტილი ჰქონდათ იუნკრების ხელში ჩაგდება, ხოლო შემდეგ ათასეულის ჯარისკაცებს თავის მხარეზე გადაიყვანდნენ. იუნკრებს უკვე ეძინათ, როგორც ჩანს ბოლშევიკები ინფორმირებულნი იყვნენ სკოლის გრაფიკთან დაკავშირებითაც. მათი 8-10 კაციანი ჯგუფი დერეფანში შეიჭრა, რევოლვერით დაემუქრა მორიგეს, ამის შემდეგ, შეცვიდა იუნკრების ოთახებში, ააყენეს ისინი საწოლებიდან ბოლშევიკებმა და პირველ და მეორე ოთახებში გამოიყვანეს. ამავე დროს, მათ იარაღთან მცველები დაყენეს. მეორე ოთახებში, იუნკრებთან ბოლშევიკებმა დატოვეს ოთხი მაუზერიანი ჯარისკაცი, ხოლო დანარჩენები ა. მახარაძის მეთაურობით კლასების დერეფნისაკენ გაემართნენ. მათ განზრახული ჰქონდათ გაევლოთ სკოლის მოედანი და მისულიყვნენ ნაცვალთა ათასეულის გუნდში, რომლებიც მოშორებულნი იყვნენ ქუჩას და ოფიცერთა ადგილსამყოფელს. ბოლშევიკებს კიბეზე შეეჩერა მორიგე ოფიცერი, კაპიტანი ქარუმიძე, რომელიც სკოლის შემოვლას აწარმოებდა და არავითარ საფრთხეს არ მოელოდა. იგი დაიჭირეს, განაიარალეს, შემდეგ აიყვანეს და დატოვეს იუნკრებთან ერთად, მათი მეთვალყურის ზედამხედველობის ქვეშ. როდესაც მორიგე იუნკრეს ისკანდარაშვილს კაპიტანი ქარუმიძე სამორიგეო ოთახში არ დახვდა, უკან გამობრუნდა დერეფნის კუთხიდან, მან დაინახა როგორ დაიჭირეს და განაიარალეს მორიგე ოფიცერი. იუნკრერი არ დაიბნა და სკოლის მოედნით ოფიცრების ოთახისაკენ გაეშურა. კაპიტან ქარუმიძის დაპატიმრების შემდეგ, ბოლშევიკები სამორიგეო ოთახში შეიჭრნენ, სადაც შემთხვევით იმყოფებოდა კაპიტანი ჯაფარიძე. იგი დააპატიმრეს, გაუთიშეს ტელეფონი და იუნკრებთან წაიყვანეს. სწორედ ამ დროს ქალაქიდან ბრუნდებოდა სკოლის უფროსი – გენერალი გ. კვინიტაძე. სამორიგეო ოთახიდან, მას მოესმა ხმაური. გენერალმა ფარაჯა გაიძრო და სამორიგეო ოთახში გავიდა, სადაც მას უწესრიგობა დახვდა. როდესაც გენერალი კლასების დერეფნისაკენ გაემართა, მან შენიშნა საზაფხულო პალტოში გამოწყობილი უცხო პიროვნება,

რომელმაც მისი მიმართულებით გაისროლა. გენერალმა კვინიტაძემ სროლითვე უპასუხა, მაგრამ სამწუხაროდ, მეორე გასროლისას ტყვია ავტომატის ლულაში გაიჩხირა. გენერალი შენობისაკენ შეტრიალდა მეორე რევოლუციის ასაღებად; ბოლშევიკებმა ის ტყვიებით მიაცილეს და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ამ ფაქტთან დაკავშირებით გენერალი კვინიტაძე თავის წიგნში „ჩემი მოგონებები“ წერს: „ეს იყო სამხედრო სკოლაზე ბოლშევიკების დამის შეტევა, პირველ მაისს თბილისში, როგორც ყოველთვის ისინი ზეიმობდნენ პირველი მაისის დღესასწაულს. როგორც მე გადმომცეს, დემონსტრაციის დროს ბრძომ გადაქელა ბოლშევიკები, რომლებიც ცალკე ორგანიზაციად გამოდიოდნენ. მგონი, პირველი მაისის თუ არა ორი მაისის საღამოსვე (ორი მაისის ღამის 1-ლი საათი) სახალხო დარბაზში დანიშნულ იქნა მშრომელთა დეპუტატების სხდომა. მე ვესწრებოდი ამ სხდომას, სადაც მთავრობის წევრებმა წარმოსთქვეს სიტყვა შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. სხდომა გაგრძელდა თითქმის თორმეტ საათამდე. როდესაც სახლში წავდი, მე მაშინ სამხედრო სკოლის შენობაში ვცხოვრობდი, თან მახლდა გენერალი ზაქარიაძე. როგორც კი ავტომანქანა სკოლის საღარბაზოს მიუახლოვდა, სადღაც შორიახლოს გაისმა გასროლის ხმა. გენერალმა ზაქარიაძემ შენიშნა: „ისვრიან“; მე ვუპასუხე, რომ ეს პირველად არაა და არ მივაქციე ყურადღება. ზაქარიაძე წავიდა, მე კი ავედი ჩემთან და ვახშმობა დავიწყე, სახლში ყველას ეძინა. 10-15 წუთის შემდეგ გავიგე ხმაური, ნაბიჯების ხმა, ყვირილი; ხმაური ვესტიბიულის ან სამორიგეო ოთახის მხრიდან ისმოდა. რადგან ხმაური ხანგრძლივი იყო, ამიტომ აღელვებული გავემართე ტელეფონისაკენ და ვითხოვე მორიგე ოფიცერთან დაკავშირება. მითხრეს, რომ სამორიგეო ოთახი არ პასუხობდა. მე პირადად გავემართე სამორიგეო ოთახისაკენ. იქ შესულმა დავინახე იატაკზე დაგდებული პალტო, ირგვლივ სრული სიჩუმე იყო. გამიკვირდა, რომ სამორიგეო ოთახში არავინ იყო, რადგან ოფიცირის არყოფნისას იქ იუნკერი მაინც უნდა ყოფილიყო. მე კიბის თავზე გამოვედი, ზემოთ, სამორიგეო პუნქტთან სამი კაცისაგან შემდგარი დარაჯთა ჯგუფი იდგა. დარაჯთა ჯგუფის ხელმძღვანელად ყოველთვის იუნკერი ინიშნებოდა, ამჯერად დარაჯთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო იუნკერი გეგეჭკორი ...“

ეს იყო ქართული სამხედრო სკოლის პირველი გამოცდა, რომელიც ოუნკრებმა წარმატებით ჩააბარეს. ბოლშევიკებმა განიზრახეს თავდაპირველად იერიში სწორედ სამხედრო სკოლაზე მიეტანათ და ამით გაეტეხათ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგობა. სამხედრო სკოლის იუნკრებმა მოახერხეს მათი შეტევის მოგერიება. ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს სამხედრო სკოლის ხელში ჩაგდება და შემდგომი შეტევის გაგრძელება. 2 მაისს, სამ საათზე, სამხედრო სკოლაში მივიდა საქართველოს მთავრობის მეთაური ნოე უორდანია, რომელმაც მადლობა გამოუცხადა სკოლის ხელმძღვანელობას და იუნკრებს. უფრო ადრე სკოლაში სამხედრო მინისტრი, გრიგოლ ლორთქიფანიძე გამოცხადდა. ბოლშევიკების შეტევას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია, დაიჭრნენ იუნკრები გრიგოლ კიკიანი და მიხეილ მაყაშვილი, ეს უკანასკნელი მძიმედ იყო დაჭრილი და გარდაიცვალა. მიხეილ მაყაშვილი გახდა პირველი მსხვერპლი იუნკრებიდან, რომელიც ბოლშევიკებთან ბრძოლას შეეწირა. მიუხედავად მსხვერპლისა, სამხედრო სკოლამ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იხსნა გადატრიალებისაგან და ქვეყანას იმ

ეტაპზე თავიდან ააცილა შემდგომი სისხლისღვრა, რაც უდავოდ სკოლის იუნკრების დამსახურება იყო. აქედან მოყოლებული, იუნკრები აქტიურად ჩადგნენ ქვეყნის თავდაცვის სამსახურში და შეიძლება ითქვას, ყველგან გმირულად ასრულებდნენ თავიანთ მხედრულ ვალს.

1920 წლის 3 მაისს შეტაკებები დაიწყო საქართველოს საზღვარზე. წითელ ხიდთან – ხრამზე, ბოლშევიკების ჯარებმა გადმოლახეს ქვეყნის საზღვრები. საქართველოს მთავრობამ, ჯარის სარდლობა გენერალ გიორგი კვინიტაძეს ჩააბარა. ბოლშევიკები აქტიურად მიიწევდნენ წინ, საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება მთავრობის მხრიდან. გ. კვინიტაძის გადმოცემით, გვარდის შტაბი სამხედრო სკოლის ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდა. სკოლას უკვე ძლიერი, მხედრული სულით განმტკიცებული ერთეულის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. სამხედრო სკოლის იუნკრები ფრონტის დასაყრდენ ძალად იქცნენ.

16 მაისს, ალექსანდრე ჩხეიძემ, მიიღო ბრძანება, რომ სამხედრო სკოლა დატვირთულიყო მატარებელზე და სადგურ სადახლოსაკენ დაძრულიყო. სკოლის იუნკრები ბრძანებას სიხარულით შეხვდნენ. ბრძანება მიიღეს 5 საათზე, მაგრამ კვირა დღე იყო და სკოლის შეკრება მხოლოდ 10 საათისთვის მოხერხდა. ამ დროისათვის სამხედრო სკოლა პატარა, მაგრამ საიმედო საბრძოლო ერთეულს წარმოადგენდა; მის განკარგულებაში იყო 4 გუნდისაგან შემდგარი ათასეული, 8 მეტყვიამფრქვეველთა გუნდით, 2 სამთო და 2 საველე ზარბაზნიანი ბატარეით, ასევე, 25 კაციანი ცხენოსანთა მწყობრით. ალექსანდრე ჩხეიძემ ათასეულში ნაცვლების აღვილზე იუნკრები დანიშნა, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არ ჰყავდათ კადრის ნაცვლები, გარდა ზემდეგებისა; ისინი ჩხეიძემ თავიანთ ადგილებზე დატოვა და იუნკრები დაუმორჩილა. ამ ფაქტმა დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ლორთქიფანიძის გაკვირვება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, ალ ჩხეიძე წერს: „როდესაც სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე სადახლოში სკოლას ათვალიერებდა მითხრა: გენერალ კვინიტაძემ გადმომცა, რომ თქვენ იუნკრები დაგინიშნავთ ჯარისკაცების უფროსებად გუნდებში: მერე როგორ არ გეშინათ, რომ მოხდეს მათ შორის გაუგებრობა? მე ვუპასუხე სრულიად დარწმუნებით: – კარგად ვიცნობ ამათაც და იმათაც; არავითარი გაუგებრობა არ მოხდება და ამას ჩემს თავზე ვიღებ შემიძლია დავადასტურო: ამ თვეების განმავლობაში არც ერთ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. იუნკრები ძალიან მოხერხებულად დაუახლოვდნენ ჯარისკაცებს და მოიპოვეს მათი ნდობა“. იგი დაასკვნის: „ჩანს ჩვენი სამინისტრო ფიქრობდა, რომ ჩვენ ვზრდიდით არა ნამდვილ ქართველ ოფიცრებს, არამედ რაღაც საფრთხობელას“.

ალექსანდრე ჩხეიძე სადახლოში დაინიშნა საარმიო ჯგუფის უფროსად. სამხედრო სკოლის გარდა მის განკარგულებაში გადავიდა: 1-ლი ქვეითი პოლკი, მე-7 პოლკი, მე-5 პოლკის ორი გუნდი და შემდეგ მთელი პოლკი, ასევე, მაიორ მახარაძის ბატარეა, მაიორ იოსელიანის ბატარეა და ცხენოსანთა პოლკის ორი ესკადრონი მაიორ დოლიძის მეთაურობით. 17 მაისს, სადახლოში ალექსანდრე ჩხეიძემ მიიღო საბრძოლო ოპერაციული ბრძანება, რათა 18 მაისს, დილით, გადასულიყო შეტევაზე, ბოლშევიკების მარცხენა ფრთის შემოვლით. 3 საათზე ისინი გამოვიდნენ სადახლოდან, ქართულ არმიას წინ მიუძღვდნენ სამხედრო სკოლის იუნკრები, რომლებიც ფრონტის წინა ხაზზე იყვნენ გაგზავნილნი. ისინი სრულ საბრძოლო

მზადყოფნაში იყვნენ, როდესაც პოლკოვნიკმა ნიკოლოზ გედევანიშვილმა ალექსანდრე ჩხეიძეს გადასცა მთავარსარდლის ბრძანება: დალოდებოდნენ მის საბოლოო საბრძოლო განკარგულებას და არ გადასულიყვნენ შეტევაზე. შემდეგში, ბრძოლის გაგრძელება არ გახდა საჭირო, ვინაიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიღო გადაწყვეტილება, სისხლისლვრის თავიდან აცილების მიზნით, დასთანხმებოდა ბოლშევიკების წინადადებას და დაეწყოთ მოლაპარაკება მათთან. ამ ფაქტმა, ქართული ჯარების მთავარსარდლის გულისწყრომა გამოიწვია, რადგან ქართული სამთავრობო ჯარების უპირატესობა აშკარა იყო. პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის გეგმის მიხედვით, სამხედრო სკოლა ცხენოსანი დივიზიონით, 19 მაისს, ალყაში მოაქცევდა ბოლშევიკების ჯარს. გარდა ამისა, როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, ბოლშევიკები საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ სულ ჰქონდათ 8 ზარბაზანი ქართული სამთავრობო ჯარების 28 ზარბაზნის წინააღმდეგ. ამას ემატებოდა ისიც, რომ აზერბაიჯანელები ელიზავეტპოლში ამზადებდნენ აჯანყებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. გენერალ კვინიტაძეს განზრახული ჰქონდა დაემარცხებინა ბოლშევიკები ყაზახის რაიონში, დაძრულიყო ელიზავეტპოლზე და ფეხზე დაეყენებინა შიხლინსკის დივიზია, შემდეგ წასულიყო ბაქოზე და გაერეკა ბოლშევიკები აზერბაიჯანიდან. ამას ემატებოდა ისიც, რომ იმ დროისათვის რუსებს ომი ჰქონდათ პოლონელებთან. აღნიშნული გეგმის განხორციელება, მთავრობის ჯარს გენერალ კვინიტაძის მეთაურობით, საშუალებას მისცემდა შეეჩერებინა ბოლშევიკების შემდეგი სამხედრო მოქმედებები. ბოლშევიკები დიდი მანძილით დაცილდებოდნენ საქართველოს საზღვრებს და შემდეგში ქვეყანა, შესაძლოა, საერთოდ აიცილებდა თავიდან 1921 წლის ბრძოლებს. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკებთან მოლაპარაკება არჩია. ბოლშევიკებმა ამით ძალა მოიკრიბეს და სასტიკად ჩაახშეს აზერბაიჯანელების აჯანყება. აღნიშნული ფაქტის გამო, სამხედრო სკოლამ დაკარგა სასწავლო დრო, მაგრამ ამავე დროს იგი ნამდვილ საბრძოლო მდგომარეობაში გაატარა, პრაქტიკულად შეისწავლა საველე-საყარაულო სამსახური. ივლისის პირველ რიცხვებში იუნკრები თბილისში დაბრუნდნენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ნოე უორდანია მოსკოვთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთი პირის, — გრიგოლ ურატაძის მეშვეობით. ამის შესახებ, ის თვითონვე წერს: „რაკი პირდაპირი მიდგომით, უვროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდათ არა გამოდიოდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსებთან დაწყების აუცილებლობა... ამ მისის ერთი მთავარი პირობა იყო მისი საიდუმლოება. მთელი ეს ამბავი, გრიშას (იგულისხმება გრიგოლ ურატაძე) გამგზავრება და იქ მუშაობა, საქართველოში არავის გაუგია, ვითიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის არეოპაგის\* წინაშე და ეს უეჭველად გასჭრის“. ასე ფიქრობდა მაშინ, საქართველოს პირველი პირი. სხვათაშორის, ეს ის გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე გახლდათ, რომელმაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსით, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა მთვრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე — ლევ მიხეილის ძე კარახანთან ერთად,

მოაწერა ხელი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჩვენ ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

1920 წლის აგვისტოს პირველ ნახევარში მოხერხდა სამხედრო სკოლის კურსდამთავრებული ნაცვლების გამოშვება. საზაფხულო მეცადინეობები, უმთავრესად საველე სამსახურის პროგრამა, სამი თვის მანძილზე საბრძოლო ოპერაციების გამო, მართალია, მათ შემოკლებით გაიარეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაცვლები საკმაოდ მომზადებული იყვნენ. სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან, დაწვრილებითი რჩევა-დარიგების მიღების შემდეგ, ნაცვლებმა სკოლა დატოვეს. რაც შეეხებათ იუნკრებს, ისინი გადაყვანილნი იქნენ უფროს კურსზე და გაუშვეს ზაფხულის შვებულებაში. საზაფხულო მეცადინეობის გაცდენის გამო, იუნკრებმა ვერ მოასწრეს ტოპოგრაფიული მეცადინეობის სრული კურსის გავლა; ასევე მომზადების პრაქტიკული მხარე. მიუხედავად ამისა, ნაცვალთა მწყობრში ყოფნის დროს, იუნკრებმა საკმაო გამოცდილება შეიძინეს.

შემდეგში იუნკრები გაწვეულნი იქნენ ლაგოდეხში, სადაც აჯანყდა მე-6 პოლკი და საჭირო გახდა იქ წესრიგის აღდგენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღ. ჩხეიძე გადმოგვცემს: „საჩქაროდ გამოვბრუნდი სკოლაში და დაგვზავნე იუნკრები და ჯარისკაცები სკოლის შესაკრებად. ისევ დამით მოგვიხდა დატვირთვა, მაგრამ გამოცდილება უკვე გვქონდა და საქმე დაჩქარებით წავიდა. დამით უკვე მივქროდით კახეთში. გზაში დაგვეწია მთავარსარდალი. საღამოს, მივაღწიეთ განაპირა სადგურს – წნორის წყალს. აქ ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა გვარდიელების ათასეული. სადგურიდან ტელეფონით დაველაპარაკე გენ. სუმბათაშვილს, რომელიც ლაგოდეხში იმყოფებოდა. როგორც ჩანდა მისი მდგომარეობა ბეჩავი იყო... ვაცნობე, რომ ბატარეის გადმოტვირთვისთანავე, სკოლა მყისვე ლაგოდეხზე წამოვა-თქო. პატარა სადგურზე გადმოტვირთვა გამნელებული იყო; ამის გამო მხოლოდ დილის 6 საათზე მოხერხდა გამგზავრება. ზაფხულის სიცხე იდგა; დასალევი წყალი არსად იყო; დაწყებული ალაზნის ხიდიდან, კოლოები მოსვენებას არ გვაძლევდნენ და მწარედ იკბინებოდნენ. საღამოს მივედით ილარიონოვკაში. აქ მოვიდა ბრძანება – განიარაღებულ იქნას მე-6 პოლკის მოდარაჯე გუნდი და შეპყრობილი პოლკის მთავარი აგიტატორები, რომლებიც გუნდში იმყოფებიან...“ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. აღ. ჩხეიძის ხელმძღვანელობით, მოხერხდა ამბოხებული ჯარისკაცების ალყაში მოქცევა, რის შემდეგაც მათ იარაღი დაყარეს. აგიტატორებმა გაქცევა მოინდომეს, მაგრამ ყველანი შეიპყრეს. მთავარსარდლის მოსვლამდე დავალება უკვე შესრულებული იყო. მთავარსარდლი თბილისში დაბრუნდა და ბრძანა დასვენების შემდეგ, სკოლის ათასეულის უკან დაბრუნება. გენ. სუმბათაშვილის თხოვნით, რომელიც იმედით შეჰყურებდა სამხედრო სკოლის ძალებს, საველე განაჩენის აღსრულებამდე, იუნკრები ლაგოდეხში დარჩნენ, სადაც ისინი 4 აგვისტომდე საყარაულო სამსახურს ეწეოდნენ. მალე მთავარსარდლის ბრძანებით, სამხედრო სკოლა გამოწვეულ იქნა თბილისში, სადაც აშკარად მოქმედებდნენ ბოლშევიკები. ლაგოდეხში ყოფნის პერიოდში ჯარისკაცები დაავადდნენ მუცლის ტიფით. ეპიდემიამ 12 ჯარისკაცისა და 1 იუნკრეის სიცოცხლე შეიწირა.

სკოლის ხელმძღვანელობა შეუდგა პირველ კურსზე იუნკერთა ახალი ნაკადის მიღების სამზადის. 1920 წლის 1 სექტემბერს სამხედრო სკოლაში მიღებულ იქნა 90 იუნკერი. უფროსი კურსის იუნკრები, რომლებმაც გარკვეული კურსი გაიარეს, გადანაწილდნენ იარაღის სპეციალურ დარგებზე: 60 იუნკერი ქვეით განყოფილებაში, 15 საარტილერიოში, 10 საინჟინროში და 5 ცხენოსანთა განყოფილებაზე.

სამხედრო სკოლის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობდა ჯარისკაცები აღეზარდა საბრძოლო სულისკვეთებით და ერთმანეთის მიმართ მეგობრული დამოკიდებულებით, ამასთანავე ისინი უნდა გათავისუფლებულიყვნენ რუსული ჯარის წესებისგან. ქართული სამხედრო სკოლის დათვალიერებისას, აზერბაიჯანის ჯარის გენერალმა შიხლინსკიმ, რომელიც ძველი არტილერისტი იყო, მოიწონა სკოლაში არსებული სწავლების მეთოდიკა, კერძოდ ის, რომ სკოლაში ერთად იყვნენ თავმოყრილნი ყველა დარგის სპეციალისტები. სამხედრო სკოლის არტილერისტები იყვნენ გამოჩენილი ოფიცრები: — ბატარეიის უფროსი ბახუტაშვილი, კაპ. ქარუმიძე, კაპ. ყარალაშვილი. ისინი იყვნენ ბრწყინვალე ოფიცრები, რაც შემდეგში პრაქტიკაში დაამტკიცეს კიდეც.

1920 წლის 1 ოქტომბერს გენერალმა კვინიტაძემ, მთავარსარდლის უფლების დატოვების შემდეგ, ჯარიც დატოვა და სკოლაში დაბრუნება არ ისურვა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გ. კვინიტაძე, ჯერ კიდევ შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის რანგში, სპეციალური ბრძანებით მიმართავს ჯარისკაცებს: „...უფროსობა და ხელმძღვანელობა ასეთი მხედრობისა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო და მტკიცედ ესმის თავისი მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სამხედრო პირისათვის არის უაღრესი ბენდიერება. ვტოვებ რა მთავარსარდლის მოვალეობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალედ აღვნიშნო თქვენი გმირული სამსახური სამშობლოსადმი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ლირსეული შვილები ხართ ჩვენი ღირსეული წინაპრებისა. აღსდგნენ საქართველოს გმირები! დიდება სამშობლოს! დიდება თქვენ! გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას!“

გიორგი კვინიტაძის წასვლის შემდეგ, სკოლის უფროსად დაინიშნა გენერალი ანდრონიკაშვილი. იგი იყო გენერალური შტაბის ოფიცერი, სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, ამასთანავე მეტად რბილი და ფაქიზი ხასიათის მქონე ადამიანი, დამთმობი, რის გამოც ხანდახან უკანონო თხოვნასაც კი ასრულებდა. აღნიშნული თვისებები, მას ხელს უშლიდა სკოლის მართვის საქმეში.

1921 წლის 15 თებერვლამდე დაინიშნა ახალგაზრდა ჯარისკაცების გაწვევა. შემკრებ პუნქტებზე, სამხედრო სკოლიდან სპეციალურად გაიგზავნენ ოფიცრები, ახალგაზრდა ჯარისკაცების შესარჩევად. სკოლას უფლება პქონდა აერჩია ნაცვალთა ათასეულისათვის წერა-კითხვის მცოდნე და წარმოსადეგი ახალგაზრდები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ სამშობლოს დასაცავად მოსალოდნელ ბრძოლებში. ალ. ჩხეიძე გადმოგვცემს: „ჯარისკაცები ერთი მეორეზე უკეთესები იყვნენ. გადავწყვიტე დამენაწილებინა ისინი სიმაღლის მიხედვით; ყველა მაღალი დაინიშნა პირველ გუნდში, მოვიდა ოცი მოზევე; ყველა ლამაზი, შოლტივით ბიჭები, მოყვანილი და ვაჟკაცური გამომეტყველების; ყველა პირველ გუნდში დავნიშნე. ამ დროს პირველ გუნდს უფროსობდა კაპ. ბალუაშვილი, რომელიც თავისი სიმაღლით გუნდს არ შეეფერებოდა და ამიტომ შევცვალე იგი; პირველი გუნდის უფროსად დავნიშნე

მაიორი გარდაფხაძე; ნესტორი აღფრთოვანებული იყო თავისი ახალგაზრდებით. ყველა ამოძრავდა, ყველა ემზადებოდა გაორკეცებული მუშაობისათვის“. მათ წინ თებერვლის სუსხიანი დღეები ელოდათ და ქვეყნის სადარაჯოზე უნდა დამდგარიყვნენ.

ვინაიდან სამხედრო სკოლის იუნკრები ეწეოდნენ საპატიო სამსახურს ალ. ჩხეიძემ მიიღო უფლება, თბილისიდან და ქუთაისიდან შეეკრიბა მუსიკოსები, რადგან ოფიციალური შეხვედრებისა და გაცილების დროს საჭირო იყო კარგი ორკესტრის ყოლა. 14 თებერვლამდე მოგროვდა 50 ძველი გამოცდილი მუსიკოსი, რაც სკოლის ორკესტრის ლოტბარს, ერნესტო გიჯინს საშუალებას აძლევდა აღედგინა თავისი ძველი რეპერტუარი.

ამასობაში რუსეთი აქტიურად ადევნებდა თვალს ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებს და ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ბოლშევიკები გამარჯვებულნი გამოდიან „თეთრ“ გენერლებთან ბრძოლაში. უნდა აღინიშნოს, რომ გენერალ დენიკინის „თეთრი ჯარები“ არა ნაკლები მტერი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი, რაც რუსეთმა საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით უბოძა, – ეს იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს იყო რუსეთის მორიგი ხრიკი. აღნიშნული ხელშეკრულებით, არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჩანდა კმაყოფილი. მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია ამასთან დაკავშირებით წერს: „გრ. ურატაძემ გვამცნო მოლაპარაკების შინაარსი და აგრეთვე პროექტის ტექსტი. ჩვენი მთავარი მოთხოვნილებანი გამოჩნდა მიღებული, სადაო იყო წვრილმანები, განსაკუთრებით ერთი მუხლი- საქართველოს ტერიტორიაზე არ იდგეს სამტრო უცხო ჯარი. ჩვენ გაცნობეთ ამ მუხლის სრული ამოგდება, ჩვენი ტერიტორიის სუვერენი ჩვენ ვართ-თქო. გრიშამ გადმოგვცა პირდაპირი მავთულით, რომ ამ მუხლს არ ხსნიან - თქვენ ეგებ თქვენი ქვეყანა გახადოთ ბაზად უცხო შემოტევისა ჩვენს წინააღმდეგ. მე ვიფიქრე, ბოლშევიკები მართალი არიან, თუკი ასეთი ეჭვი აქვთ, მუხლი მისაღებია. ევგენი (იგულისხმება საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეშკორი ლ. ს.) იყო წინააღმდეგი, არ გვინდა მათი ცნობა, თუ ჩვენი ტერიტორიის მოხმარაში გვერევიან. ჩემთვის მთავარი იყო ჩვენი იურიდიული ცნობა, რუსეთისაგან, რასაც შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც მიმართავდნენ“.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მე-10 მუხლი, აშკარად ეწინააღმდეგებოდა მე-2 მუხლს, რომლის ძალითაც რუსეთი ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. მე-10 მუხლით კი რუსეთი მოითხოვდა ციხეებში მყოფი ქართველი კომუნისტების გათავისუფლებას, რაც თავისთავად ნიშნავდა ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას. ამ ფაქტთან დაკავშირებით ტროცკი<sup>\*</sup> ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადებისთანავე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აიძულეს, 900 კომუნისტი გაეთავისუფლებინა ციხეებიდან. გარდა ამისა, ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნდა მომხდარიყო სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ნაწილების დაუყონებლივ განიარაღება, რაც რასაკვირველია, მეტად სახიფათო იყო რუსეთთან მოახლოებული ომის პირობებში. შედეგების მიხედვით თუ

ვიმსჯელებთ, აღნიშნული ხელშეკრულება მომაკვდინებელი აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

რუსეთმა, მართალია ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა იმავდროულად ემზადებოდა საქართველოზე გასალაშქრებლად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, გრძნობდა რა მოსალოდნელ საფრთხეს, შეუდგა თავდაცვითი ლონისძიებების განხორციელებას. 1921 წლის 11 ნოემბერს, დაარსდა თავდაცვის საბჭო, ნოე უორდანიას ხელმძღვანელობით. მთავრობამ მიიღო ზომები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ამ მიზნით, დამფუძნებელ კრებას გადაეცა დეკრეტის პროექტი თავდაცვისათვის, დამატებით 300 მლნ. მანეთის გამოყოფასთან დაკავშირებით. ქართველი გენერლების მტკიცებით, ბოლშევიკებთან ომის მოგება შეიძლებოდა 50-60 ათასი კაცით. 1921 წლის 3 იანვარს, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. ოდიშელიძე თავის მოხსენებაში მთავრობისადმი წერდა: „საბჭოთა რუსეთის შემოსევისას აღმოსავლეთის საზღვარზე უნდა დავაგროვოთ 35.000 კაცი, სამხრეთით – 10.000 კაცი. ამავე დროს რეზერვში უნდა დავიტოვოთ 15. 000 კაცი სხვა მიმართულებისათვის. ამნაირად, ჩვენი შეიარაღებული ძალების რიცხვი უნდა აღწევდეს 60.000 ხიშტს და ხმალს“. აღნიშნულ ძალებს, ის ვარაუდობდა მტრის 70.000 კაცის წინააღმდეგ. გიორგი კვინიტაძის გადმოცემით, 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთის მთავრობამ გამოიყვანა 155. 000 ქართველი ჯარისკაცი. გენერალი სვამს კითხვას: სად იყო ეს 155. 000 ქართველი 1921 წელს ბოლშევიკებთან ჩვენი ომის დროს? როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების ძალით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მოახდინა სამხედრო ძალების დემობილიზაცია, რამაც გამოიწვია შეიარაღებული ნაწილების მნიშვნელოვანი შემცირება. დახმარება, ვერც დასავლეთიდან მიიღეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის საკითხი მართალია, უფრო ადრე დაიგეგმა, თუმცა ოფიციალურად, 1921 წლის 26 იანვრის რკპ (ბ)<sup>\*</sup> ცე-ის პლენუმზე გადაწყდა, სადაც მოწონებული იქნა საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევის გეგმის პროექტი, რომლის ავტორიც ვ. ი. ლენინი იყო.

1921 წლის თებერვალში შეწყდა სამხედრო სკოლის მშვიდობიანი ცხოვრება. სკოლის იუნკრებმა თავიანთი თავგანწირვით დაამტკიცეს, რომ მათ ძარღვებში წინაპრების გმირული სისხლი ჩქეფდა.

1921 წლის 11 თებერვალს, დამით, ბოლშევიკების ჯარები ქართულ და სომხურ ნაწილებთან ერთად თავს დაესხნენ საქართველოს სანაპირო სადარაჯოებს და რეგულარულ ნაწილებს, რომლებიც ქვეყნის მთავარსარდალ გენერალ ოდიშელიძის მიერ იყვნენ დაწყობილნი და დაჯგუფებულნი ხეობებში. დადგა საბედისწერო დღეები მობილიზაციის გამოცხადებასთან ერთად ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობამ დასვა საკითხი უფროსი კურსის იუნკრების ოფიცრებად გამოშვების შესახებ, მაგრამ მოვლენების დაჩქარების გამო, ამის განხორციელება ვერ მოესწრო. 14 თებერვალს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნის თანახმად, საქართველოს მთავრობამ გადააყენა გენერალი ი. ოდიშელიძე და მთავარსარდალ დანიშნა გ. კვინიტაძე. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღ. ჩხეიძე გადმოგვცემს: „საქართველოს მიერ წარმოებულ ყველა ომში გენ. კვინიტაძე იღებდა სარდლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვების

მიერ ყველაფერი გაფუჭებული იყო; ამის მიუხედავად, მან არ იცოდა, თუ რა არის დამარცხება (სომხეთის ომი, ცხინვალის აჯანყების ჩაქრობა და ახალციხის ოპერაციები, 1920 წლის ომი ბოლშევიკებთან და ბოლოს 1921 წლის ომი). ეჭვს გარეშეა, მომავალი ისტორიკოსი გენერალ კვინიტაძეს დახატავს გამარჯვებულ სარდლად“. იმავე აზრს ადასტურებს გენერალი შაქრო ბაქრაძე, რომელიც თვითმხილველი იყო სამხედრო სკოლის უფროსებისა და იუნკრების საბრძოლო ხელოვნებისა. იგი წერს: „„ეჭვს გარეშეა, გამარჯვების აზრით და ეროვნული გრძნობით იყო აღფრთოვანებული სამხედრო სკოლის უფროსობა; და თუ ამას მივუმატეთ იგივე გრძნობით გამსჭვალული ხელქვეითების (იგულისხმება იუნკრები) გული, ადვილი გასაგებია- რა ძალას წარმოადგენდა სამხედრო სკოლა“.

გენერალი გ. კვინიტაძე სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სამხედრო მინისტრის თანაშემწე და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. მან დიდი დრო და ენერგია მოახმარა თბილისის ერთადერთ ქართულ სამხედრო სკოლას, როგორც მისმა უფროსმა და დამარსებელმა. იგი თავგამოდებით ზრუნავდა სანიმუშო ქართველი იუნკრების აღსაზრდელად, მშობლიურ ენაზე მათვის სახელმძღვანელოების შესაქმნელად, მათში მაღალი ზნეობრივი და სულიერი თვისებების ჩასანერგად. მიუხედავად ამისა, გ. კვინიტაძეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, ბოლომდე სერიოზული უთანხმოება ჰქონდა.

როდესაც რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისს მოუახლოვდა, ფრონტის მარჯვენა ფრთას კოჯრის მისადგომებთან გენ. ანდრონიკაშვილი იცავდა. მის განკარგულებაში იყო რეგულარული ჯარის 4 პოლკი, გვარდის 4 ათასეული, შესაბამისი რაოდენობის არტილერია და იუნკერთა სკოლის კურსანტთაგან სახელდახელოდ შექმნილი რაზმი. ცენტრალურ უბანზე განლაგებულ ჯარებს მეთაურობდა გენ. გ. მაზნიაშვილი, რომელსაც სოლანლუდის და მისი მიმდებარე პოზიციების დასაცავად გამოუყვეს 3 პოლკი, სასაზღვრო ათასეული, ტყვიამფრქვეველთა ასეული და ორი საარტილერიო დივიზიონი. მარცხნა ფრთაზე იღგა გენ. ჯიჯიხია ქვეითი ჯარის სამი ათასეულითა და ცხენოსანთა ესკადრონით.

საქართველოს გენერალურ შტაბს ჩაუკარდა საბჭოთა რუსეთის XI არმიის საქართველოზე თავდასხმის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, XI არმიის ნაწილები თავს დაესხმოდნენ საქართველოს 6 მხრიდან: 1) ჩრდილო-დასავლეთიდან გაგრა-სოხუმის მიმართულებით, 2) ჩრდილოეთიდან მამისონის უღელტეხილით, 3) ვლადიკავკაზიდან დარიალის ხეობით, 4) აღმოსავლეთიდან კახეთის მიმართულებით, 5) სამხრეთ-დასავლეთიდან ბორჩალოს მიმართულებით, 6) სამხრეთიდან ახალციხე-არდაგანის მიმართულებით.

უნდა ითქვას ისიც, თუ როგორი იყო ამ დროს რუსეთის მდგომარეობა. რუსეთი სრული გამარჯვებული გამოდის სამოქალაქო ომიდან, ამარცხებს თეთრ გენერლებს და თანდათან ძალებს იკრებს რუსეთის იმპერიაში ადრე შემავალი ქვეყნების დასაბრუნებლად. რუსი პოლიტიკოსები აქტიურად ადევნებდნენ თვალს ამიერკავკასიის ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობას. 1920 წლის 28 აპრილს, რუსეთი იკავებს აზერბაიჯანს. 1920 წლის 15 აპრილს, არზრუმში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ოსმალეთის მე-15 არმიის უფროსმა კიაზიმ კარა ბექირ ფაშამ და აზერბაიჯანის

სამხედრო მინისტრმა შიხლინსკიმ. შეთანხმების მე-5 მუხლით, აზერბაიჯანი ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა ოსმალებს ბოლშევიკებთან დაახლოებაში და საჭიროების შემთხვევაში აზერბაიჯანიც შეუერთდებოდა აღნიშნულ კავშირს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, ნოე უორდანია აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანი უცხო ძალას შეხვდა უბრძოლველად; მიუხედავად დიდი სურვილისა და ამ ქვეყანასთან დადებული სამხედრო კავშირით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, საქართველოს უფლება არ ჰქონდა შებრძოლებოდა რუსეთს, რადგანაც თვით აზერბაიჯანი არ შეწინააღმდეგებია ამ ფაქტს.

1921 წლის 16 თებერვლის დილას, დამფრთხალი სამთავრობო გვარდია უკან გამოიქცა, ჯერ სადგურ სანდარზე და შემდეგ თბილისში. მეორე საარმიო ბრიგადა განადგურებული იქნა ბოლშევიკების მიერ ხეობებში და ამგვარად ფრონტი მოროვეული და სრულიად გაწმენდილი იყო მათ მიერ. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, მტრის ერთ ცხენოსან ბრიგადას ენერგიული დევნა, რომ განეხორციელებინა, იმავე დღესვე შესძლებდა თბილისში შემოსვლას. საბედნიეროდ, მტერმა არც კი იცოდა გვარდის გამოქცევის შესახებ და 2 დღე იდგა თავის პოზიციებზე.

ყველა გამოცდილი მეომრისათვის ცხადი იყო, რომ ბრძოლა უკვე წაგებული იყო, თუმცა გენერალ კვინიტაძის მთავარსარდლად დანიშვნამ, ჯარისკაცებს ახალი სული შთაბერა. მათ განსაკუთრებული რწმენა ჰქონდათ ამ ადამიანის მიმართ, რადგან მას ყოველთვის თან ახლდა გამარჯება, მათ შორრის, რუსულ ჯარშიც.

შექმნილ სიტუაციაში, დაისვა თბილისის მოსახლეობის ევაკუაციის საკითხიც. სწორედ, ამ მძიმე სიტუაციაში, 18 თებერვალს, ეროვნული გვარდის ჯარებმა გაიმარჯვეს და მათ ქალაქში შემოიყვანეს 15 ათასი ტყვე-ბოლშევიკი. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში მიღწეული გამარჯვება უდაოდ ახალი მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის დამსახურება იყო. სწორედ, ამ ადამიანის უნარისა და მისდამი ნდობის შედეგი იყო ის ძალისხმევა, რომელიც ქართველმა ჯარისკაცებმა გამოიჩინეს 1921 წლის თებერვლის ბრძოლებში.

1921 წლის 17 თებერვალს, დილის 5 საათზე, სამხედრო სკოლის ხელმძღვანელობამ მიიღო სპეციალური ბრძანება: „სამხედრო სკოლა საჩქაროდ გამოვიდეს ტაბახმელას პოზიციებზე“. ამ დროისათვის სამხედრო სკოლის განკარგულებაში იყო: 1) 136 ქვეითი იუნკერი; 2) 10 საინჟინრო; 3) 5 ცხენოსანთა რაზმი. ახლადგაწვეული ჯარისკაცებისაგან, რომელთაც სასროლ მოედანზე წამეცადინება მოასწრეს, შედგენილ იქნა სამი გუნდი, საერთო რაოდენობით 350 კაცი. საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი 2 სამთო და 2 საველე ზარბაზნიანი ბატარეია, სადაც დანიშნულ იქნენ იუნკრები. ასევე 6 ტყვიამფრქვეველთა გუნდი, ასევე, იუნკრების მონაწილეობით. სამხედრო სკოლის ხელმძღვანელობამ ყოველივე ამის გაკეთება შეძლო ბრძანების მიღებიდან 6 საათის განმავლობაში (5 სთ-დან 11 სთ-მდე). სამხედრო სკოლის იუნკერთა განწყობილება საბრძოლო და ხალისიანი იყო. 11 საათსა და 30 წუთზე სამხედრო სკოლის რაზმი დაეწყო შემდეგნაირად: იუნკრების რაზმი 115-120 კაცი (10-12 ტყვიამფრქვევით), 3-ახალგაზრდა ჯარისკაცების რაზმი( 4 ზარბაზნით და 6 ტყვიამფრქვევით). იუნკრები ისე

მოულოდნელად წავიდნენ ფრონტზე, რომ სრულებით არ ჰქონდათ სალაშქრო ნივთები. მიუხედავად ცივი ზამთრისა, ისინი თხელ ფარაჯაში, ხოლო ჯარისკაცები ნაბდის ფარაჯებში იყვნენ ჩაცმულები. ბრძოლის მონაწილე იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილი იგონებს: „... ეს 20-23 წლის გამოუშუშავი ახალგაზრდები დაკაცებული და ომისათვის მომზადებულნი არ იყვნენ. არც ტანსაცმელი გააჩნდათ ამინდის შესაფერი. საზაფხულო სამოსელზე თხელი, წყლის გაუმტარი, სითბოს მოკლებული ხელოვნური იტალიური ქსოვილისაგან შეკერილი პალტოები გვეცვა. ჩვენ ტანსაცმელში (ცხვრითა და მატყლით მდიდარ ქვეყანაში), ერთი ღერი მატყლიც არ ერია. დღისით, სანგრებში ყოფნისას, ტანსაცმელი წყლით იუდინთებოდა, ღამით ფიცრებად იყინებოდა და იარაღის მოხმარებასა და მოძრაობას გვიძნელებდა, ოლონდ გულში იმდენი ძალა შეგვწევდა, რომ ამ სიძნელებისათვის ანგარიში არ გაგვიწევია და მტრის ყოველ მოძრაობას დროზე და შესაფერად ვხვდებოდით. ჩვენ სულისკვეთებაზე ვერავითარი სიძნელე ვერ მოქმედებდა და ვერ გვასუსტებდა. სიკვდილზე არც არავის გვიფიქრია და არც შეგვშინებია. ზუზუნებდნენ ტყვიები, წიოდნენ ირგვლივ ხელყუმბარები და ჭურვთა ნამსხვრევები, ჩვენ კი სანგრებში ჩამალვას სანგრების პირას ფეხზე დგომას ვარჩევდით. შიგა და შიგ ჯანღი რომ ჩამოწვებოდა, წრე შეგვიკრავს და სიძლერა და ცეკვა წამოგვიწყია“. 1921 წლის 17 თებერვლის, დღის 12 საათზე, სამხედრო სკოლის იუნკრები, მეთაურებთან ერთად, გამოვიდნენ სკოლის ეზოდან და რუსთაველის გამზირისაკენ გაემართნენ. რუსთაველის გამზირზე შეკრებილი საზოგადოება მათ ოვაციებითა და ვაშას შეძახილებით ამხნევებდა. ალექსანდრე ჩხეიძე იგონებს: „მე რამდენჯერმე თვალი გადავავლე იუნკრებს, მივაცქერდი მათ სახეებს: – გამომეტყველება ჰქონდათ ღრმა და დინჯი; მათი გულისყური შეეპყრო ერთ საგანს; ყველა გრძნობდა, რომ ეს არ იქნება მხოლოდ ჩვეულებრივი ბრძოლა, არამედ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. სამხედრო სკოლის განწყობილება ჰგავდა იმ კაცის განწყობილებას, რომელმაც გადაწყვიტა იაფად არ გაყიდოს თავისი სიცოცხლე“. ეს საბრძოლო განწყობილება სამხედრო სკოლის იუნკრებმა ბოლომდე შეინარჩუნეს, ზოგიერთი მათგანი ბრძოლის ველზე დარჩა, მაგრამ იმ მტკიცე იმედით, რომ საქართველო დამოუკიდებელი იქნებოდა.

სამხედრო სკოლას ნაბრძანები ჰქონდა, დაეკავებინა ძველი დანგრეული სანგრები, კოჯრიდან ტაბახმელას გავლით, რაც შეადგენდა 8 ვერსის სიგანის ფრონტს. აღნიშნული ტერიტორია იყო დაღარული და დაწყვეტილი; სავსე აუარებელი ხევებით და ხრამებით, რომელიც დაფარული იყო ტყით და ბუჩქნარით, ყოველივე ეს ქმნიდა მძიმე პირობებს, მაგრამ აუცილებელი იყო ჯარისკაცებს როგორმე დაეფარათ გაშიშვლებული თბილისი და გაემაგრებინათ ფრონტის ხაზი. იუნკრების პირველმა მწყობრმა დაიჭირა სანგარი №3; მე-2 მწყობრმა სანგარი №2; მე-3 და მე-4 მწყობრი დატოვებული იქნა მაშველში, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე. ახალგაზრდა ჯარისკაცების პირველმა გუნდმა დაიკავა სანგარი №4-5-6 (იხილეთ: რუკა №1). სანგრებისათვის გამოყოფილი იქნა თითო-თითო ათეული. მე-2 მწყობრის უფროსმა გამოპყო 7 იუნკერი და ისინი №1 სანგარში გაგზავნა. სანგრები №0 და №00 დაუკავებელი დარჩა. 4 ზარბაზანი დაყენებული იქნა გორაკის ფერდობზე, ბაღის წინ. დანარჩენი ნაწილები სანგრებში განთავსდნენ. 18 თებერვალს, დილის 3 საათზე,

ალექსანდრე ჩხეიძემ ბრძანება გასცა, გამოეცვალათ ნაწილები სანგრებში. კერძოდ, იუნკრების მე-3 მწყობრმა შეცვალა პირველი მწყობრი №3 სანგარში; მე-4 მწყობრმა შეცვალა მე-2 მწყობრი №3 სანგარში. ახალგაზრდა ჯარისკაცების პირველი გუნდი, შეცვალა მე-2 გუნდმა. მოხდა გარკვეული გადაადგილებები. ღამემ მშვიდად ჩაიარა, მიუხედავად სიცივისა. ყინვა 8-9 გრადუსს აღწევდა. იუნკრები თავდადებით იბრძოდნენ და უკან არ დაუხევიათ. ამ ამბების თვითმშილველი ალ. ჩხეიძე გადმოგვცემს: „სამხედრო ისტორიაში გაუგონარი ამბავი! ახალგაზრდა ჯარიკაცები, რომლებმაც მხოლოდ ორი დღეა, რაც სამხედრო ფორმა ჩაიცვეს, ბრძოლაში იქნენ გამოყვანილნი; მაგრამ გამოაშკარავდა, რომ სკოლაში ჯანსაღი სული ჭრიალებდა; იუნკერთა გუნდი იყო დასაყრდნობი ქვაკუთხედი; ოფიცრებმა, კადრის ნაცვლებმა ბრწყინვალედ შეძლეს ახალგაზრდა ჯარისკაცებში სამხედრო სულის განმტკიცება“.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს სამხედრო სკოლის იუნკრები ფრონტზე სამშობლოს სიყვარულით გულანთებულნი მიემართებოდნენ. სამხედრო სკოლის შენობაში სიჩუმემ დაისადგურა, რადგან სკოლის აღზრდილი მოწაფეები ფრონტის ხაზზე იცავდნენ ქვეყნის ღირსებას. პირტიტველა იუნკრები დიდებისაკენ სიმღერით მიისწრაფოდნენ. ერთ-ერთი იუნკერის გადმოცემით, ისინი ხშირად მღეროდნენ ამ საბრძოლო სიმღერას:

„ვისაც მოუკლვს ის მოჰკლავს  
ნადირსა, შავის ტყისასა...“

1921 წლის 18 თებერვალს, სამხედრო შტაბმა ცუდი ამბავი მიიღო: ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს სოლანლურზე; დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გვარდიის ერთი ათასეული სანგრებიდან ისე გაიპარა, რომ თოფიც არ გაუსვრია. საბედნიეროდ, გვარდიის მეზობლად მდგომი სადარაჯო ათასეული მტკიცედ იბრძოდა, რის გამოც ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს ესარგებლათ ფრონტის გარღვევით და იძულებული იყვნენ შეტევა შეეჩერებინ. გათენებისას გამოჩნდნენ ხევებში ჩასაფრებული ბოლშევიკები. ჯარის ნაწილები, გენერალ კვინიტაძის მეთაურობით, შეტევაზე გადავიდნენ და პირველ წარმატებას მიაღწიეს, ჯავშნოსანი მატარებლის დახმარებით ტყვედ აიყვანეს 1. 500 ბოლშევიკი. თბილისი ზეიმობდა ამ გამარჯვებას.

სამხედრო სკოლის იუნკრების მარცხენა ფრთასა და გენერალ მაზნიაშვილის რაზმს შორის დიდი შუალედის გამო, 18 თებერვალს, დილით გენერალმა ალექსანდრე ჩხეიძემ იუნკრების პირველი და მეორე მწყობრი უფრო მარცხნივ გადასწია.

სამხედრო სკოლის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, 17 თებერვალს მთავარსარდლის ბრძანებით, ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა სკოლის უფროსად, გენერალი ანდრონიკაშვილი კი დაინიშნა მთელი ფრონტის უფროსად, რომელიც კოჯრამდე გრძელდებოდა. მძიმე კლიმატური პირობების გამო, სანგრებში მდგომი ნაწილები დღე-ღამეში ორჯერ იცვლებოდა. იუნკრების ორი მწყობრი კი ყოველთვის მაშველში იყო, ახალგაზრდა ჯარისკაცების გასამაგრებლად. ახალგაზრდა იუნკერთა 10 კაციან ინჟინრებს დაევალათ კავშირის მოწყობა; ცხენოსნები სამსახურს ეწეოდნენ გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბში. სამუშაო მათ ბევრი ჰქონდათ, ვინაიდან ფრონტი

დიდი იყო და ტელეფონით კავშირი ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი. 18 თებერვალს, საღამოს, იუნკერთა პოზიციებზე გასამხნევებლად ავიდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანია, სამხედრო მინისტრი და მთავარსარდალი.

19 თებერვალს დილით, №2 და №3 სანგრებში იმყოფებოდნენ იუნკრების მე-3 და მე-4 მწყობრი; №4-5-6 სანგრები ეკავა ახალგაზრდა ჯარისკაცების მე-2 გუნდს. №1 სანგარში იყვნენ იუნკრები ტყვიამფრქვეველებით, მათ ხელმძღვანელობდა ლეიტენანტი ერისთავი, რომელიც გამოიჩინდა სიმამაცით. ტაბახმელის პოზიციებზე აღექსანდრე ჩხეიძესთან მივიდა მე-2 ბრიგადის 5 ოფიცერი, რომელთა ნაწილები ბამბაკის ხეობაში იქნა განადგურებული ბოლშევიკების მიერ; მათ თხოვნით მიმართეს სკოლის უფროსს ბრძოლა გაეგრძელებინათ იუნკერთა რიგებში. ესენი იყვნენ: ლეიტენანტი ქავთარაძე, არტილერისტი – ლეიტენანტი ერისთავი, მეტყვიამფრქვევე – ლეიტენანტი სულუხია, უფროსი ლეიტენანტი ბარამიძე და ლეიტენანტი თავზერაძე. აღექსანდრე ჩხეიძემ ისინი მიიღო იუნკერთა რიგებში. მათი თხოვნა განპირობებული იყო იმ დიდი ავტორიტეტით, რითაც ქართული სამხედრო სკოლა სარგებლოდა, როგორც ხალხში, ასევე ჯარისკაცებში.

20 თებერვალს, დილის 8 საათზე, მოვიდა ცნობა სოფელ ვაშლოვანისა და კუმისის წინ მტრის ქვეითი ჯარის გამოჩენის შესახებ. მტრმა ფართო ფრონტით შეუტია იუნკერთა სანგრებს. განსაკუთრებით, შესამჩნევი იყო მტრის ერთი ნაწილის მოძრაობა ვაშლოვანიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით კოჯორზე; იუნკერთა სანგრების პირდაპირ კი აქტიურად უტევდა საბრძოლო მწყობრში გაშლილი მტრის ქვეითი ჯარი. მაიორმა ბახუტაშვილმა ცეცხლი გაუხსნა მტრის წინმომავალ ნაწილებს, რამაც არეულობა შეიტანა მათში.

გენერალი აღექსანდრე ჩხეიძე, ცხენით გაემართა №4 სანგრისაკენ, სადაც იმყოფებოდა ახალგაზრდა ჯარისკაცების მე-2 გუნდი. პირველი გუნდი მაშველ რაზმში იყო. მტრის არტილერია უკვე უშენდა №4 სანგრებს. აღექსანდრე ჩხეიძე იგონებს: „ჩამოვქვეითდი და გავიარე სანგრებში; ძალიან მაინტერესებდა ახალგაზრდა ჯარისკაცების სულისკვეთება; შთაბეჭდილება მივიღე პირდაპირ სასიხარულო! არავითარი შიში მათ სახეზე! გამომეტყველება ჰქონდათ გონიერი, თუმცა დაჭიმული, მაგრამ სრულიად მშვიდი. როდესაც კი ვინმეს რაიმე შევეკითხე, მოინდომა ფეხზე ადგომა. ძალაუნებურად გავიფიქრე: – ეს, ამეცადინე ესენი ერთი წელიწადი, მაშინ პირდაპირ ლომები იქნებიან... !“

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა იუნკრებს არ დასცალდათ სრულყოფილი საბრძოლო მომზადება გაევლოთ სამხედრო სკოლაში, ისინი მაინც მამაცურად იბრძოდნენ და უკან არ დაუხევიათ ყველაზე რთულ მომენტშიც კი. როდესაც მაშველი გუნდის მარცხენა ფრთას მტრის ტყვია დაეცა, განაპირა ჯარისკაცმა კონტუზია მიიღო, ერთი კი დაიჭრა. მოულოდნელად მეორე ყუმბარა მაშველთა გუნდიდან 15 ნაბიჯის მანძილზე დავარდა, თუმცა არც ერთი ჯარისკაცი არ დაძრულა ადგილიდან და საბრძოლო პოზიცია არ დაუტოვებია. ქართველი იუნკრების მამაცობით აღფრთოვანებული გენერალი აღექსანდრე ჩხეიძე, გულდაჯერებული გაემართა სამხედრო ბატარეისაკენ, მას შეეგებნენ ოფიცრები: მაიორი ანანიაშვილი, კაპ. მაჭავარიანი და კაპ. შავდია. მათ აინტერესებდათ ალ. ჩხეიძისაგან გაეგოთ, თუ

როგორ გრძნობდნენ თავს ფრონტზე ახალგაზრდა ჯარისკაცები. ისინი ალ. ჩხეიძის ცხენთან იყვნენ შეჯუფულნი, როდესაც გაისმა გასროლა, მტრის ტყვიამ მაიორ ანანიაშვილის გულში გაიარა და იქვე გაათავა. იგი პირველად იყო ომში და ბრძოლის დაწყების პირველივე საათებში მოკლეს.

მალე შულავერთან გამოჩნდა მტრის ცხენოსანი მწყობრი. მაიორ ბახუტაშვილის მიერ ნასროლი პირველივე ყუმბარა მტრის რაზმის შუაგულში ჩავარდა და მაშინვე გაფანტა ისინი. იუნკერთა პოსტებზე მდგომი ზარბაზნიდან 150 ნაბიჯზე მარჯვენა მხარეზე, მიწიდან მაღლა იყო ამოშვერილი სამიჯნე ქვა (იხ: №1 რუკაზე №510). ეს ქვა კარგად ჩანდა მოწინააღმდეგის პოზიციებიდან, რადგან მტერმა მიზანში ამოიღო, მთელი ბრძოლების განმავლობაში ამ ქვას დაუზოგავად გლეჯდა და სრულიად გადათხარა ირგვლივ მიწა. მიუხედავად ამისა, ქვა ამაყად იდგა თავის ადგილზე, თითქოს სამხედრო სკოლის სულის სიმტკიცის სიმბოლო ყოფილიყო. მალე, ბრძოლის ბედი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების სასიკეთოდ შეტრიალდა. დაახლოებით 12 საათზე, მოწინააღმდეგის მოიერიშე ნაწილები მიუახლოვდნენ იუნკერთა სანგრებს, ისინი დაახლოებით ორას ნაბიჯზე იყვნენ, როცა ლეიტენანტმა ერისთავმა მათ №1 სანგრიდან ტყვიამფრქვეველების ფრთული ცეცხლი შეაგება და მტრის 23 გვამი ერთ ადგილას დაალაგა. მტრის შეტევა მოგერიებული იქნა. მათი იერიშის უკუგდებაში მონაწილეობა მიიღეს ასევე, იუნკრების მე-3 და მე-4 მწყობრმა, №2-3 სანგრებიდან. მთელი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა მტრის იერიში. მტრის მოსაგერიებლად საჭირო შეიქმნა კიდევ ერთი მწყობრის გაგზავნა. მაშველში დარჩა იუნკრების მხოლოდ ერთი პატარა მწყობრი. 18 თებერვალს, საღამოს, ალექსანდრე ჩხეიძის განკარგულებაში გადავიდა მე-10-ე ათასეული, პოლკოვნიკ საგინაშვილის მეთაურობით. მე-10-ე ათასეულის გუნდები ძირითადად ჩაყენებული იქნენ ფრონტის ღია ადგილებში, მათ დაიკავეს №0 და №00 სანგრები (იხილეთ №1 რუკაზე). მათი ერთი გუნდი ჩადგა მარცხნა ფრთაზე 36 სანგარში. დაახლოებით 13 საათსა და 30 წუთზე, კოჯრის აღმოსავლეთ ნაპირზე გამოჩნდა ბოლშევიკების ჯარები, ერთ ათასეულამდე. მათ დაიკავეს სოფ. წავისი და გაემართნენ მთავრობის ჯარების ზურგისაკენ, გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბის მიმართულებით. დუქანი, საღაც მათი შტაბი იყო მოთავსებული, მტრის ცეცხლის ალში მოექცა. შეიქმნა კრიტიკული და დამაფიქრებელი მდგომარეობა. კოჯრის დამცველი მე-4 ათასეულის გუნდები დამარცხებული იქნენ იმ ბოლშევიკებთან ბრძოლაში, რომლებიც თეთრი დუქნიდან უტევდნენ. მე-4 ათასეულის გუნდებმა დაიხიეს მამა დავითის მთის მიმართულებით და სრულიად დაუცველი დატოვეს იუნკრების ზურგში მიმავალი გზა. გენერალი ანდრონიკაშვილი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან იუნკერ მიქაძის პირით შემდეგი შინაარსის სიტყვიერი ბრძანება გაუგზავნა გენერალ ალექსანდრე ჩხეიძეს: „ბოლშევიკები ჩამოდიან კოჯორიდან ზურგში, შტაბი უკვე ცეცხლის ქვეშ იმყოფება; ამისათვის გენ. ანდრონიკაშვილი უბრძანებს სკოლას და მე-10 ათასეულს, დაიხიონ უკან“. გენ. ალ. ჩხეიძე იგონებს: „ჩემს შეკითხვაზე: – საით ბრძანა გენერალმა უკან დახევა? იუნკერმა მიქაძემ მაჩვენა მარჯვენა ხელით ჩრდილოეთის მიმართულებით, მამა დავითის მთაზე. ბრძანების მიღების დროს ჩემთან იყვნენ მაიორი გარდაფხაძე და კაპ. მაჭავარიანი. ჯერ კიდევ ბრძანებამდე, კოჯორზე ვხედავდი ბოლშევიკურ ძალებს და კარგად შევაფასე ჩვენი

მდგომარეობა. კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა არამც თუ მარტო ჩვენი რაზმისათვის, არამედ მთელი უმთავრესი მიზნისათვის, — თბილისისათვის...“ გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით იგი წერს: „ნაპოლეონობა არ იყო საჭირო იმის გამოსარკვევად, რომ: იმ შემთხვევაში, თუ მე ბრძანებას ავასრულებდი, იმ საღამოსვე თბილისი ბოლშევიკების მიერ იქნებოდა დაკავებული და ჩვენი ჯარების დიდი ნაწილი გზაგადაჭრილი აღმოჩნდებოდა. დავიწყებდი თუ არა ჩემი ნაწილების ბრძოლიდან გამოყვანას და მტრის ფრთული და ზურგის ცეცხლის ქვეშ უკან დახევას, დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი იმაში, რომ მამა დავითის მთაზე მარტო იუნკრებს მივიყვანდი; დანარჩენი ყველაფერი ერთმანეთში აირეოდა და თბილისისაკენ თავქვე დაეშვებოდა... ჩვენი უბნის დატოვების შემდეგ, ბოლშევიკები სწრაფად დაიკავებდნენ მას. ვინაიდან ამ დროს დაუინებით მოჰკონდათ ჩვენზე იერიშები; აშკარაა, მათ იცოდნენ კოჯორში გამარჯვების შესახებ და ჩვენი უბნის დაკავებითაც უნდოდათ თბილისის ბედი გადაეწყვიტათ. ყველაფერი ეს ნათლად მქონდა წარმოდგენილი და განცვიფრებული დავრჩი, გენ. ანდრონიკაშვილმა თუ როგორ გადაწყვიტა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. მოზღვავდა მწველი განცდები და ფიქრმა გამიტაცა. წარმოვიდგინე, რომ სამხედრო ისტორიკოსი თბილისთან ბრძოლის აღწერის დროს დაწერს: — კრიტიკულ წუთებში სამხედრო სკოლის რაზმა დააგდო თავისი პოზიციები და დაიხია მამა დავითის მთაზე, რის შედეგად ბოლშევიკებმა დაიკავეს ტაბახმელა და აქედან შევარდნენ თბილისში.... არა! ეს არ იქნება ისტორიაში ასე დაწერილი —გადავწყვიტე. ფიქრები იცვლებოდა ელვის სისტრაფით... მომაგონდა სამხედრო ისტორიდან შემთხვევები, როდესაც ჯარის ნაწილები წირავდნენ თავს არმიის დასახსნელად! მიუბრუნდი და დამშვიდებულად ვუთხარი მიქაძეს: — გადაეცი გენერალს, რომ ამ ბრძანებას ვერ ავასრულებ და ეხლავე მოგალ მოსალაპარაკებლად. ნესტორ გარდაფხაძეს განვუცხადე, რომ არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევ!“.

ალექსანდრე ჩხეიძე ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა: ერთის მხრივ, ის მოვალე იყო ალესრულებინა მთავარსარდლის ბრძანება, მეორეს მხრივ, კარგად იცოდა, რომ უკანდახევა თბილისის დაკარგვას ნიშნავდა. გენერალმა ბრძოლის გაგრძელება არჩია და უბრძანა მაიორ ბახუტაშვილს, მოებრუნებინა საველე ზარბაზნები უკან და გაეხსნა ცეცხლი, ხოლო კაპიტან ქარუმიძეს დაავალა ჩამოეგორებინა სამთო ზარბაზნები ზემოდან და დაეყენებინა ბოტანიკური ბალისა და სოფელ ტაბახმელას შუა, თავად კი გენერალ ანდრონიკაშვილთან წავიდა, რათა ის გადაერწმუნებინა, არ დაეხიათ უკან. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული შექმნილი სიტუაცია, მაგრამ იუნკრების საბრძოლო სულისკვეთებაზე, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ერის წინაშე ეს პირტიტველა ბიჭები პირნათელნი ყოფილიყვნენ: „... თუ თბილისს ვერ გადავარჩენდით, ეს თავგანწირვა ხომ მაინც სარგებლობას მოუტანს მომავალი ახალგაზრდობის აღზრდას და სკოლის პატივს იხსნის. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ სამხედრო სკოლა ყოფილიყო თბილისის დაღუპვის მიზეზი... საშინელია ამის წარმოდგენაც კი!“

გენერალ ანდრონიკაშვილთან შეხვედრამ, ალ. ჩხეიძე კიდევ უფრო დაარწმუნა საკუთარი გადაწყვეტილების სისტორეში: უკან დახევა სიკვდილის ტოლფასი

იქნებოდა. როგორც გამოირკვა, გენ. ანდრონიკაშვილის ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო შექმნილი სიტუაციით, მას ბრძანება მთავარსარდლისაგან არ მიუღია. ის იმყოფებოდა თავის შტაბში და ვერ ხედავდა ჯარს, ვერ გრძნობდა სკოლის იუნკერთა გამობრძმედილ მებრძოლ სულს, მათ საბრძოლო განწყობას. ალ. ჩხეიძე მის შესახებ გადმოგვცემს, რომ ის ბუნებით იმდენად რბილი ადამიანი იყო, ვერ პოულობდა თავის არსებაში ნებისყოფას, რათა მოეთხოვა თავისი ჯარისკაცებისათვის, უეჭველი დაღუპვის მიუწედავად, დამდგარიყვნენ და დაღუპულიყვნენ. გენერალმა ასეთი პასუხი მისცა ალ. ჩხეიძეს: „— ჩემო კარგო, თუ შენ ხედავ გამოსავალს, იმოქმედე ჩქარა და დიდი მადლობელი ვიქნები!“

საბოლოოდ, ალ. ჩხეიძემ გადაწყვეტილება მიიღო, გაეგრძელებინათ ბრძოლა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ის წერს: „— მე მივდივარ! — ვუპასუხე (საუბარია გენ. ანდრონიკაშვილზე) და მოვაბრუნე ცხენი ბალისაკენ. აქედან გამოვიყვანე იუნკერთა მე-2 მწყობრი, რომელსაც იმ დროს ოფიცერი არ ჰყავდა და წავედი შენობისაკენ ოფიცრის დასანიშნავად; ამ დროს სახლიდან გადმოხტა და წინ შემომეგება კაპ. თოიძე, — ინჟინერი. დავუჭირე ხელი, ვაჩვენე და ავუხსენი მდგომარეობა და გავაგზავნე მწყობრით დუქნისაკენ. ზარბაზნებს ვუბრძანე ცეცხლი აეჩქარებინათ; ნესტორ გარდაფხაძეს ვუბრძანე, მოეხსნა სანგრებიდან და დუქანთან მოეყვანა ახალგაზრდა ჯარისკაცების 1-ლი გუნდი. ამას გარდა მოხერხდა, გამოგვეყო მე-10 ათასეულიდან ნახევარი გუნდი, რომელსაც უფროსობდა იმავე ათასეულის კაპიტანი ქარუმიძე, გამოჩენილი და გულადი ოფიცერი“.

ალ. ჩხეიძემ კარგად იცოდა, რომ მის ხელთ არსებული ძალებით ვერ შეძლებდა კოჯრის განთავისუფლებას ბოლშევიკებისაგან, თუმცა თვლიდა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აზრი მაინც ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ საპასუხო შეტევის შემდეგ, ვერც ბოლშევიკები იგრძნობდნენ თავს გამარჯვებულად. გენერალი ფიქრობდა, რომ მათი მხრიდან, თუნდაც სუსტი კონტრ-იერიშები, მოწინააღმდეგეს შეაჩერებდა, რაც თბილისის დამცველებს ძალების მოკრებაში დაეხმარებოდა. იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილი იგონებს: „მზე ჩასვლაზე იყო, თოვლით დაფარულ კოჯრის მაღლობზე რომ ავედით. მაშინათვე პოლკ. ჩხეიძის მითითებით პოზიციების დაკავებას და მოწყობას შევუდექით. საქმე არც ისე ადვილი იყო. ციოდა. თოვლით დაფარულ, ღრმად გაყინულ მიწის სანგრებად და ძნელ მისადგომ პოზიციებად გადაქცევა დიდ ჯაფას მოითხოვდა. ჩვენ, მესამე ოცეულს, მარცხნა ფრთაზე მოხვდა პოზიციები. თვალწინ მაღლობს ამოფარებული ტაბახმელა იყო, მარცხნივ სოლანლულისკენ დაქანებული ფერდობი. ოცეულს განაგებდა ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი და მისი თანაშემწე, უფროსკურსელი იუნკერი გელაშვილი. ჩვენ მარჯვნივ პოზიციები დაიკავა პირველმა ოცეულმა, ლეიტენანტ თოიძის თაოსნობით...“

ალ. ჩხეიძის რაზმი შეტევაზე გადავიდა. მე-10 ათასეულიდან გამოყოფილი ნახევარი გუნდი წავიდა მარჯვნივ, იუნკრები — მარცხნივ. ადგილი, საიდანაც ნახევარი გუნდი იერიშზე უნდა გადასულიყო, დაფარული იყო ბორცვებით, იუნკრები კი უტევდნენ სუფთა თოვლით დაფენილ ღია ადგილზე. ჯარისკაცები არც ერთხელ არ დაწოლილან, ისე გაიარეს ცეცხლის ქვეშ. ეს მორალური დარტყმა ბოლშევიკებისათვის ცეცხლზე ძლიერი იყო. ისინი მედგრად ეკვეთნენ მტერს და 100-120 ნაბიჯზე ცეცხლი გახსნეს. სწორედ, ამ დროს, ბოლშევიკების ტყვიამ

იმსხუერპლა კაპიტანი ქარუმიძე, რომელიც მე-10 ათასეულის ნახევარ გუნდში იბრძოდა; იუნკრების მწყობრში კი კაპიტანი თოიძე გამოასალმეს სიცოცხლეს. ამის შემდეგ ნახევარმა გუნდმა უკან დაიწია, გასწორდა და შეჩერდა. ბოლშევიკები ხიშტებით გადავიდნენ იერიშზე, სულ რაღაც 23 იუნკერის წინააღმდეგ. იუნკრებმა, შემდგომი წინსვლის მიზნით, დაიწყეს უკან დახევა, მოიმარჯვეს ადგილი და ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს. არტილერისტები პირდაპირი დამიზნებით ისროდნენ. ეს იყო ერთი მუჭა, თავგანწირული ჯარისკაცების წინააღმდეგობა, რამაც აიძულა ბოლშევიკები თავიანთ თოვლის სანგრებში გაქცეულიყვნენ. სწორედ, ამ დროს მოვიდა მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძის შემდეგი შინაარსის ტელეფონოგრამა:

„— გამაგრდით, როგორც არ უნდა იყოს, ვიღებ ყოველ ზომას!“ მართლაც, მთავარსარდალმა მიიღო ყველა ზომები ჯარისკაცთა დასახმარებლად და კოჯრის გასამაგრებლად: თბილისიდან ავტომობილით წაიყვანეს მე-5 ათასეული; მამა დავითის მთაზე ფუნიკულიორით აიყვანეს გვარდიის ათასეული; სოფელ ბებუთოვკაში გაიგზავნა გვარდიელების ერთი ათასეული, კოჯორზე ზურგიდან შემოსატევად; გენ. მაზნიაშვილისაგან, თელეთის ქედით, გაიგზავნა 1-ლი ათასეული პოლკ. გეგელაშვილის მეთაურობით, გაიგზავნა ასევე, გვარდიის ერთი ათასეული. კოჯორში მისვლისას ჯარის ნაწილებმა გენ. ალ. ჩხეიძისაგან მიიღეს საჭირო ცნობები ფრონტზე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, მოეგროვებინათ მე-2 მწყობრიდან დარჩენილი იუნკრები. ალ. ჩხეიძის ცნობით, დაჭრილ-მოკლული იყო 8 იუნკერი და კაპ. თოიძე. ამ ფაქტთან დაკავშირებით იუნკერი ნიკოლოზ მათიკაშვილი იგონებს: „სკოლის მარჯვენა ფრთაზე ბოლშევიკთა მოზრდილმა ჯგუფმა მაღლობი გადმოლახა და „ურას“ ძახილით ლეიტენანტ თოიძის ოცეულს შეუტია. ლეიტენანტი თოიძე უკუიერიშით მიეგება. მტერმა ხელჩართულს ბრძოლას ვერ გაუძლო, პირი იბრუნა და უკან დაიხია, ველზე კი დატოვეს დაჭრილ-დახოცილები. იქვე დარჩა ლეიტენანტ თოიძის გვამი და რამდენიმე იუნკრისა. მაშინ იყო, რომ ტაბახმელის მთავარი გმირი პოლკ. ჩხეიძე ომის მსვლელობას თვალს არ აშორებდა, ბრძანება გასცა მის გვერდით მდგომი ორი ზარბაზანი გამოეგორებინათ და წინ მიმავალი ბოლშევიკებისათვის პირდაპირი ცეცხლი გაეჩინათ. რამდენიმე ნიშანში ნასროლი ყუმბარა ლეიტ. თოიძის უკუიერიშთან ერთად საკმარისი გამოდგა მტრის უკან გასაბრუნებლად. ერთი და ორი არ იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ იუნკერთა ხაზი ვერსად გაარღვიეს. ვერ უშველეს ამას ვერც ბაქოდან ჩამოყვანილმა კურსანტებმა, ვერც ბორის ძნელაძემ\*, რომლის „დამსახურების“ აღსანიშნავად ძეგლია აღმართული თბილისში...“

იუნკრების მარჯვენა ფრთაზე, გენერალ ანდრონიკაშვილის სარდლობით იბრძოდა მეოთხე ქვეითი ჯარის პოლკი, მეოთხე გვარდიის ათასეული შესაბამისი არტილერიით და ცხენოსანთა ნაწილებით. რაკი ჯარის ნაწილები უკვე ადგილზე იყვნენ, ალ. ჩხეიძემ თხოვნით მიმართა გენ. ანდრონიკაშვილს, თუნდაც ერთი ღამით, საშუალება მიეცათ სამხედრო სკოლის იუნკრებისათვის დაესვენათ. გენერალი დაეთანხმა მას. ალ. ჩხეიძის უბანი ჩაიბარა პოლკ. გეგელაშვილმა. იუნკრები სოფელ შინდისში იქნენ გადაყვანილნი დასვენების მიზნით. 20 თებერვალს, დილით, ალ. ჩხეიძე იღებს ახალ ბრძანებას: სასწრაფოდ წაეყვანა იუნკრები №2 და №3 სანგრებზე მისაშველებლად, სადაც ჩამდგარი იყო გვარდია და მე-3 ათასეული.

იუნკრებს ბრძოლა უწევდათ 4-5-ჯერ მეტი რაოდენობის მტრის ძალებთან. იყო შემთხვევები, როდესაც 20-25 კაცისაგან შემდგარი იუნკერთა რაზმი უკუაქცევდა წინ მწყობრით მომავალ მტერს. კოჯორში კაპიტან შავდიას მეთაურობით იუნკრები შეტევაზე გადავიდნენ და უკან დაიბრუნეს სანგრები. დილით, მოგერიებული იქნა მოწინააღმდეგის სამი იერიში. დიდი იყო დანაკარგი. დაჭრილ-დახოცილ იუნკერთა რაოდენობა 25-ს აღემატებოდა. სანგრების წინ ბოლშევიკებმა კონდახებით დაჩეჩქვეს იუნკერი კეზელი. ორი დღის განმავლობაში, მოწინააღმდეგეს გააფრთხებული იერიში მიჰქონდა იუნკრების მიერ გამაგრებულ გორაკზე. აღნიშნული გორაკის ხელში ჩაგდების მიზნით, მტერმა ამ მიმართულებით გაგზავნა ათასეული 4 ზარბაზნით, სამხედრო სკოლის იუნკერთა მარჯვენა ფრთის №00 სანგრების ავლით, შულავერიდან კოჯორზე; იუნკრების რაზმა, ალ. ჩხეიძის მეთაურობით, შემდეგ სამხედრო მანევრს მიმართა: შეტევაზე გადმოსული ბოლშევიკების არმია სანგრებთან ძალიან ახლოს მიუშვა, შემდეგ ცეცხლი გაუხსნა და ასე უკუაქცია №00 სანგრებიდან. ბოლშევიკებმა ბრძოლის ველზე დატოვეს 4 საველე ზარბაზანი, ასევე, პატარა ჯავშნოსანი ვაზნებით და გაიქცნენ. ამ დროს, №00 სანგრებში იდგა მე-10 ათასეულის გუნდი. მიუხედავად განცდილი მარცხისა, ბოლშევიკები განაგრძნობდნენ იერიშებს და მხოლოდ 21 თებერვალს დილით, დაახლოებით 10 საათზე, დატოვეს პოზიციები და საგრძნობ მანძილზე უკან დაიხიეს. მტრის ქვეითი ჯარი აღარსად ჩანდა, არტილერიის ცეცხლის მიუხედავად, დღემ მშვიდად ჩაიარა.

20 თებერვალს, მოაგროვეს იერიშის დროს დახოცილი იუნკრების ცხედრები. ვერ იპოვეს თოიძის გვამი. შეტევის დროს ალ. ჩხეიძე იმყოფებოდა სამთო ზარბაზნებთან და ჭოგრიტით გარკვევით დაინახა თოიძის ადგილსამყოფელი, სადაც ის ბრძოლის დროს დაეცა. სწორედ, ამ ადგილზე მიანიშნა მან კაპ. სულხანიშვილს, რაც მას დაეხმარა ცხენოსან იუნკრებთან ერთად მოეძებნათ თოიძის გვამი. მას მუცელში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი და შემდეგ დარტყმული ჰქონდა ხიშტი.

21 თებერვალს, ბრძოლის გაგრძელება, მხოლოდ ახალი ძალების შევსების შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. იმ ნაწილებზე, რომლებმაც ბრძოლის დროს დიდი დანაკლისი განიცადეს და მოქანცულნი იყვნენ, იმედის დამყარება სახიფათო იყო. გენ. კვინიტაძე ახალციხიდან მოელოდა მე-11 და მე-12 ათასეულებს, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდებოდა შეტევაზე გადასვლა. 21 თებერვალს, იმ უბანზე, სადაც იუნკრები იმყოფებოდნენ მივიდა მაიორ ჩრდილელის ბატარეია და დაიჭირა საბრძოლო პოზიციები. მაიორი ჩრდილელი ენერგიული და შეუდრეველი ოფიცერი იყო. მოგვიანებით იგი ბოლშევიკებმა დახვრიტეს თბილისში. დასახმარებლად მივიდა აგრეთვე მაიორ მახარაძის ბატარეიის ერთი მწყობრი, გოგი მესხიშვილის მეთაურობით.

ბოლშევიკებმა მთელი თავიანთი ძალები ტაბაზმელაზე გადმოისროლეს, ვინაიდან ისინი მიიჩნევდნენ, რომ ტაბაზმელა იყო მთავარი პოზიციის გასაღები. მთავარსარდალმა გენ. კვინიტაძემ არტილერიით გააძლიერა თავისი პოზიციები.

22 თებერვალს, თითქმის ყველგან სიწყნარე იყო. დროგამოშვებით ისმოდა არტილერიის გასროლა და აქა-იქ თოფის ხმა. ბოლშევიკებმა სოფლებში – ვაშლოვანსა და კუმისში, შეაფარეს თავი. იუნკერთა რიგებში დაჭრილი იყო ორი ოფიცერი – ლეიტენანტი ერისთავი და ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი, რომელიც

სამხედრო სკოლაში ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა და ფრონტზე სკოლის იუნკრებთან ერთად წავიდა საკუთარი ნება-სურვილით. ის აღმოჩნდა მამაცი და გაბედული ოფიცერი. ბრძოლის დროს დაიჭრა გვერდში გამავალი ჭრილობით.

გენ. ალ. ჩხეიძე წავიდა გენ. ანდრონიკაშვილის შტაბში და მასთან ერთად შეუდგა სამხედრო ნაწილების დაწყობას და გადაჯგუფებას. №6-დან №000 სანგრამდე იდგნენ სხვადასხვა ნაწილების გუნდები, ერთმანეთში საშინლად არეულნი. გადაწყდა მათი ათასეულებად შეკრება და უბნებზე განაწილება. იქ იმყოფებოდნენ 1-ლი ათასეული, მე-5 ათასეული, მე-10 ათასეული, ასევე, გვარდიის ერთი ათასეული და სამხედრო სკოლის იუნკრები. აღნიშნული ნაწილები, შეძლებისდაგვარად მოყვანილნი იქნენ საბრძოლო მდგომარეობაში. მოწესრიგდა აგრეთვე ყუმბარებისა და ვაზნების განაწილებაც.

გენერალ ანდრონიკაშვილს უძნელეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. დუქანში, სადაც ის იდგა, მოთავსებული იყო 7 ტელეფონის სადგური. მას ტელეფონთან ითხოვდნენ ყოველ წუთს. არ ჰყავდა არც ერთი თანაშემწე. მოგვიანებით შტაბში მივიდნენ პოლკ. გოგიტიძე და ლეიტენანტი გოცირიძე.

22 თებერვლის საღამოს, თბილისიდან შტაბში მივიდა სამხედრო სკოლის ოფიცერი კაპიტანი ყიფიანი და მიიყვანა რეზერვიდან მოწვეული 50-60 ჯარისკაცი. რეზერვისტებმა კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვეს ალ. ჩხეიძეზე, მათ შესახებ ის წერდა: „ერთობის რეზერვისტებთან ერთად. სამხედრო სკოლის იუნკრები მაშველ ძალაში იყვნენ, რაღაც ნაყარი ხალხი“. მოგვიანებით მისი ვარაუდი გამართლდა. ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

იმავე საღამოს, ალ. ჩხეიძემ №1 სანგრიდან მიიღო ცნობა, რომ გვარდიელებმა საკუთარი ნებით მიატოვეს სანგარი №0, რომელიც ცარიელი დარჩა. გვარდიელების მიერ ბრძოლის ველის მიტოვებას, სხვა ქართველი გენერლებიც ადასტურებენ. მათი ადგილის დაკავება ებრძანა კაპ. ყიფიანს რეზერვისტებთან ერთად. სამხედრო სკოლის იუნკრები მაშველ ძალაში იყვნენ. იუნკრებს ნაბრძანები ჰქონდათ, ასევე გვარდიელების მეთვალყურეობა, რადგან ღამით ისინი სანგრებს ტოვებდნენ და ზურგში მიდიოდნენ. იუნკრები აიძულებდნენ გვარდიელებს, კვლავ სანგრებში დაბრუნებას. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ გვარდიელები, რომლებიც იბრძოდნენ ყველა დიდ ომში, უფრო გამოცდილები იყვნენ არმიის ჯარისკაცებზე, ხშირად ტოვებდნენ სანგრებს, რითაც მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს.

23 თებერვალს, დღისით, დიდი ბრძოლები არ ყოფილა, ძირითადად ადგილი ჰქონდა პატარა შეტაკებებს. საღამოს მტერმა შემოუტია №0 და №00 სანგრებს. დასაწყისში, კაპ. ყიფიანმა 50-60 რეზერვისტთან ერთად შეძლო რამოდენიმეჯერ მოეგერიებინა მტრის შემოტევა. ბოლოს ველარ გაუძლო ძლიერ დარტყმას, რადგან საღამოს, რეზერვისტები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. სასოწარკვეთილებაში მყოფმა კაპ. ყიფიანმა ნაგანი იძრო და ოთხი ტყვია დაირტყა მკერდზე. პირველმა ტყვიამ მარცხენა გვერდი გაიტანა და იქვე წაიქცა, მაგრამ დასუსტებული ხელით კიდევ განაგრძობდა სროლას საკუთარ მკერდში, ვიდრე რევოლვერი არ გამოსტაცა ხელიდან მასთან ერთად მყოფმა კადრის ნაცვალმა, მისმა აღზრდილმა, რომელმაც არ მიატოვა და მასთან ერთად დარჩა სანგარში. კაპ. ყიფიანს აღმოაჩნდა ორი ჭრილობა, ორი ტყვიით გახვრეტილი ჰქონდა მარტო ფარაჯა, მკერდის დაზიანებით. სანახავად მისულ ალ. ჩხეიძეს მან განუცხადა: „ – ბატონო პოლკოვნიკო, მე ვერ შევასრულე

თქვენი ბრძანება და ეხლა ყველას შეუძლია თქვას, რომ კაპიტან ყიფიანს ბრძოლაში ჯარისკაცები გამოექცნენ!“ სამწუხაროდ, ბრძოლის დროს ასეთ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი.

კაპ. ყიფიანს თავგანწირვა სამაგალითო გახდა სამხედრო სკოლის იუნკრებისათვის, რომელთაც წინ მნიშვნელოვანი ბრძოლები ელოდათ.

დადგა 24 თებერვალი – ქართული სამხედრო სკოლის და მისი ოფიცრების გმირობისა და დიდების დღე!

ორი დღის განმავლობაში ჩამოვარდნილმა სიწყნარემ, სამხედრო სკოლის იუნკრებს და მათ მეთაურებს დასვენების საშუალება მისცა. 24 თებერვლის ბრძოლას ისინი რიცხობრივად მცირე, მაგრამ სულით ძლიერნი შეხვდნენ. ბოლშევიკები ელოდნენ ახალი ძალების შევსებას, მათ შორის კურსანტების სკოლას ბაქოდან (გავიხსენოთ, რომ ამ დროს აზერბაიჯანი უკვე ბოლშევიკების ხელში იყო). აღნიშნული ძალები, ბოლშევიკებმა 24 თებერვალს გაგზავნეს ტაბახმელის მიმართულებით, ქართული სამხედრო სკოლის იუნკრების წინააღმდეგ. ქართველი იუნკრების გვერდით გმირულად იბრძოდა ეროვნებით სომეხი იუნკერი მელიქ სომხიანცი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგული დარჩა ბოლომდე, ემიგრაციაში გაპყვა ქართველ სამხედროებს და ბოლოს ინგლისში დასახლდა.

24 თებერვალს, დილით №2, 3 სანგრები (იხ. რუკა №2) ეჭირათ ახალგაზრდა გუნდებს, იუნკრები იმყოფებოდნენ ბოტანიკურ ბაღში, მაშველ ძალაში. იუნკერთა გუნდში 136 კაციდან, ინჯინრების მიმატებით, დარჩა მხოლოდ 85-90 კაცამდე; მეორე მწყობრი, 19 თებერვლის მძიმე ბრძოლების შემდეგ დაიშალა, დარჩა მხოლოდ 1-ლი, მე-3 და მე-4 მწყობრი. დილიდანვე მტერმა არტილერიის ძლიერი ცეცხლი გახსნა საწინააღმდეგო მიმართულებით. ჯერ კიდევ 23 თებერვალს, ლეიტენანტმა მესხიშვილმა, თავის ზარბაზნებს ადგილი გამოუცვალა გორაკზე და დააყენა ბალის ცოტა აღმოსავლეთით, ბილიკზე – №4 სანგრების უკან. ბოლშევიკები მთელი ძალით უტევდნენ, რამდენჯერმე გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ ვერ უძლებდნენ საწინააღმდეგო დარტყებს და უკუ-იქცეოდნენ. მაშველი ძალების მიღების შემდეგ, ისევ გადადიოდნენ იერიშზე. გააფრთხებული ბრძოლა, გათენებიდან გვიან ღამემდე გაგრძელდა. მტერი 400-600 ფეხის ნაბიჯზე უახლოვდებოდა ზან ერთ სანგარს, ზან მეორეს. მათ უკუაგდებდნენ, თუმცა ახალ-ახალი მაშველი ძალებით კვლავ გაძლიერებულნი, სანგრებისაენ ისევ მიიწევდნენ. ბოლშევიკები ცეცხლის ქვეშ თავდაუზოგავად გაიჭრნენ წინ. საწინააღმდეგო იერიშების შედეგად, ისინი მრავალჯერ იქნენ უკუქცეულნი. ბოლოს ნაშუადღევს, ბოლშევიკებმა მიზანს მიაღწიეს, გაარღვიეს წინააღმდეგობა, შევარდნენ №4-ე სანგარში, რომელიც პირველ ათასეულს ეკავა (იხ. ნახაზი №2). გორაკზე ამოსული ბოლშევიკები აღმოჩნდნენ ლეიტენანტ მესხიშვილის ზარბაზნებთან და მისცვივდნენ ზარბაზნებს ასაღებად, ესენი იყვნენ ბაქოს სკოლის კურსანტები, რომლებიც ბოლშევიკების დასახმარებლად გაიგზავნენ. სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილმა, ლეიტენანტმა მესხიშვილმა აქ გამოიჩინა გმირობა; მან გადაწყვიტა მომკვდარიყო ზარბაზნებთან, შემოიკრიბა თავისი ბატარეის ჯარისკაცები, იძრო ხმალი, თავგანწირული გამბედაობით ეკვეთა მტერს და დაუწყო ჩეხვა. მტერი ფიქრობდა, რომ მიზანს მიაღწია: აიღო მე-4 სანგარი, ფრონტის ხაზი გაარღვია, თუმცა მთავარი წინააღმდეგობა მათ ჯერ კიდევ წინ ელოდათ, რადგან ქართული

სამხედრო სკოლის იუნივერსიტეტის, ჯერ არ ეთქვათ თავიანთი სიტყვა! იქვე  
მახლობლად, ბოტანიკურ ბაღში მყოფი იუნივერსიტეტი აქტიურად ადევნებდნენ თვალს  
ბრძოლის მიმდინარეობას და თავიანთ დროს ელოდნენ. როდესაც ბაქოს სკოლის  
კურსანტები, ბოლშევიკებთან ერთად შევარდნენ №4 სანგარში, მაშველში მყოფი,  
ქართული სამხედრო სკოლის იუნივერსიტეტი ამ ბაღიდან უკვე გამოდიოდნენ. ხოლო იმ  
დროს, როდესაც ბაქოს სკოლის კურსანტები შეეტაკნენ ლეიტ. მესხიშვილის  
ბატარეის ჯარისკაცებს, მტრის ზურგთან უკვე „ვაშას“ შეძახილებით მიიწევდნენ წინ  
ქართული სამხედრო სკოლის იუნივერსიტეტი. მათ წინ მიუძღვდათ მამაცი ოფიცირები: –  
შავდია, ხოშტარია და ჩოჩუა. გაიმართა უთანასწორო ბრძოლა. ხიშტები, კონდახები,  
რევოლვერები, ხმლები ერთმანეთში ირეოდნენ. ბაქოს სკოლის კურსანტები მედგრად  
შეხვდნენ ქართველი იუნივერსიტეტის შეტყვას. მათი ხუთქიმიანი ვარსკვლავის  
ბრწყინვალება დროებით, თუმცა მაინც დაჩრდილა თეთრი გიორგის ელვარებამ.  
იუნივერსიტეტი გაიქცნენ უკან მე-4 სანგრების მიმართულებით. სწორედ, ამ დროს  
გორაკზე, სანგართან გამოჩნდა კურსანტების ტყვიამფრქვევი. უკან გაქცეული მტერი,  
ტყვიამფრქვევით შუაზე გაყოფილი, გაიფანტა მარჯვნივ და მარცხნივ და გზა  
გაუხსნა ძლიერ ცეცხლს. ამ დროს მტრის ტყვიამფრქვევმა დაუშინა ახალგაზრდა  
იუნივერსიტეტის ღია მინდორზე, 100-120 ნაბიჯის მანძილიდან. იუნივერსიტეტის მედიკოსი გადაწყვიტეს,  
რადაც არ უნდა დაჯდომოდათ ხელში ჩაეგდოთ ტყვიამფრქვევი. მე-3 მწყობრი კაპ.  
ჩოჩუას მეთაურობით ტყვიამფრქვევისაკენ გაექანა; ჯერ არ მიახლოვებოდნენ, რომ  
კაპ. ჩოჩუა დაეცა დაჭრილი. იუნივერსიტეტი წინ მიიწევდნენ, რომელთაც წინ მიუძღვდა  
ფეხბურთში განთქმული, ფეხმარდი შალვა ერისთავი. მათ მოახერხეს და ხელში  
ჩაიგდეს მტრის ტყვიამფრქვევი. ოფიცერი, რომელიც ტყვიამფრქვევს უმიზნებდა,  
მოკლული იქნა შ. ერისთავის მიერ, თუმცა ისიც იქვე დაეცა მტრის ტყვიით  
განგმირული. იუნივერსიტეტის მოახერხეს სანგრების კვლავ ხელში ჩაგდება. ბრძოლის  
მიმდინარეობას თვალს ადევნებდნენ ალ. ჩხეიძე და გენ. ანდრონიკაშვილი. ამ  
ბრძოლაში ქართული სამხედრო სკოლის რაინდობის და სიდიადის სიმბოლურ  
სურათად დარჩა ტყვიამფრქვთან განგმირული შალვა ერისთავი. ტაბახმელის იერიშის  
დროს, ბოლშევიკების მიერ მოკლული იქნენ იუნივერსიტეტი: შალვა ერისთავი, ოთარ  
ლორთქიფანიძე, იოსებ ჯანდიერი, დაჭრილი იქნა 15-მდე იუნივერსიტეტის ტაბახმელას  
სანგრებზე იერიშები მთელი დღის მანძილზე გაგრძელდა. ქართული სამხედრო  
სკოლის იუნივერსიტეტი მიუხედავად მცირერიცხოვნობის, მედგრად იბრძოდნენ და მტერს  
არ ნებდებოდნენ, არ ავიწყდებოდათ თუ ვისი გორისანი იყვნენ, მათ საბრძოლო  
რიგებში წარსული გმირების აჩრდილი შფოთავდა, რაც მატებდათ ძალებს და  
საბრძოლოდ განაწყობდათ. ბრძოლის ველზე დაიჭრნენ ოფიცირები: შავდია, ჩოჩუა,  
ხიშტარია. 24 თებერვალს, სულ ბრძოლის ველზე დაჭრილ-დახოცილი იყო 35  
იუნივერსიტეტი. თითო მწყობრში დარჩა 10-12 კაცი. მიუხედავად ამისა სამხედრო სკოლის  
იუნივერსიტეტის უკან არ დაუხევიათ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს. ალ.  
ჩხეიძე, რომელიც იუნივერსიტეტის ერთად იბრძოდა იგონებს: „...დღე იყო საშინელი,  
მაგრამ სადიდებელი და სავსე თავგანწირული საქმით. ბოლშევიკებმა ყველაფერი  
გადმოისროლეს ბრძოლაში; გამწარებულად და უშიშრად მოიწევდნენ წინ და  
კვდებოდნენ, მაგრამ ყველა მათი მქუხარედ მოვარდილი ტალღა იმსხვრეოდა  
ტაბახმელის გმირთა მქერდზე ისე, როგორც ზღვის ტალღები პიტალო კლდეზე. დღე

იქცა ისტორიულად. გადამწყვეტ ჭიდილში ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვება იყო სრული!“

ბრძოლის ველზე სიცოცხლე უამრავმა ქართველმა იუნკერმა დატოვა. ისინი მარად ჭაბუკებად დარჩნენ. მათ სახელებს დავიწყება არ უწერიათ. მართალია, მრავალი წლის მანძილზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია საერთოდ უგულვებელყოფილი იყო ბოლშევიკური რეჟიმის მიერ და იუნკრების საგმირო საქმეებს, მათ მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვას, კომუნისტურ-კომკავშირული მტვერი ედო, მაგრამ დღეს დამოუკიდებელ საქართველოში, თითოეული ქართველის მოვალეობაა სათანადო პატივი მივაგოთ სამშობლოსათვის, მისი მომავლისათვის თავგანწირულთა ხსოვნას. ბრძოლის ველზე დაღუპული თითოეული იუნკრის, ყოველი მებრძოლის მიერ დაღვრილი სისხლი გვახსენებს, რომ სამშობლო უმთავრესია, რომ გმირი წინაპრების აჩრდილმა მათ სხვაგვარად მოქცევის საშუალება არ მისცა. ადრე თუ გვიან, საქართველოსთვის თავდადებულ გმირებს ისტორია ღირსეულ ადგილს მიუჩინს. აკი მიუჩინა კიდეც: დამოუკიდებლობის იდეა, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ, აღსრულდა, საქართველო კვლავ თავისუფალია. მათ საგმირო საქმეებზე აღიზრდებიან მომავალი გმირები. ტაბახმელას ბრძოლის წარმატება განაპირობა, ალ. ჩხეიძის გეგმამ. ნიკოლოზ მათიკაშვილი თავის მოგონებებში წერს: „ტაბახმელის ამბების მოგონებისას, ყველა და ყოველთვის იუნკერთა სკოლის თავგანწირვას, უდრეკელობას, მოვალეობის პირნათლად შესრულებასა და გმირობას იხსენებენ. ყველა ეს სიმართლეა, ოღონდ სიმართლის დარღვევა იქნებოდა, რომ ყველა ამაში სკოლის უფროსის პოლკ. ჩხეიძის ღვაწლი დაგვევიწყებინა. ყველაფერი, რაც ტაბახმელაზე ხდებოდა, მისი ხასიათის სიმტკიცის, მდგომარეობის სწორი შეფასების, შესაბამისი განკარგულების დროზე გაცემის შედეგი იყო. ჩვენ მხოლოდ მის ჩანაფიქესა და ბრძანებას უზადოდ ვასრულებდით“.

საფრანგეთში მყოფ ქართველ მეომართა საზოგადოების თავმჯდომარე, პოლკოვნიკი ვ. ცხაკაია, რომელიც სამხედრო სკოლაში ასწავლიდა სამხედრო ადმინისტრაციას, ტაბახმელასთან მომხდარ ბრძოლებზე მსჯელობისას, ხაზგასმით აღნიშნავდა სამხედრო სკოლის იუნკრების, თავისი ყოფილი მოწაფეების თავდადების შესახებ: „...ის, ვინც დაფიქრებულად გაერკვევა ბრძოლის პირობებში, შეუძლებელია არ აცრემლდეს. მცირერიცხოვანი, სამასიოდე კაცი, ახალგაზრდობა, ოთხი დღის მანძილზე, რვა კილომეტრიან ვეებერთელა ფრონტზე, რომელსაც ძველ დროში აბარებდნენ თუ კორპუსს არა, დივიზიას მაინც, ამ ფრონტზე ლომებივით იგერიებდნენ გააფრთხებული მტრის იერიშებს, თვითონ გადადიოდნენ შეტევაზე, ამარცხებდნენ და ისევ უბრუნდებოდნენ სანგრებს. იგერიებენ წინიდან, იგერიებენ უკნიდან. მხოლოდ მეოთხე დღე, მიაშველეს დახმარება და ფრონტი ცოტადა გამჭიდრდა. იუნკრებს აყენებენ მაშველში, მაგრამ აქაც უიმათოდ არაფერი კეთდება; ისევ იერიშები და მტრის მიერ აღებული სანგრების უკან დაბრუნება. უნებლიერ წარმოგვიდგება მათი მამა-პაპათა რაინდული ბრძოლები, სადაც ერთი ქართველი ეთანაბრებოდა ხუთიდან ათამდე მტერს. გაიღვიძა ჩვენს ახალგაზრდებში წინაპართა სულმა, თითქო მათი სული მათ თავს დასტრიალებდა და აქეზებდა ომისათვის სატრფო შვილებს, როდესაც ჩვენ ასეთს ამბებს ვკითხულობდით ისტორიის

ფურცლებზე, ეჭვი გვეპარებოდა, მიგვაჩნდა გაზვიადებულად, მაგრამ ჩვენ თვალწინ განმეორდა ის, რასაც ისტორიკოსები იუწყებოდნენ...“

განსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა 24 თებერვლის საღამოს. ბოლშევიკები გარს ერტყმოდნენ თბილისს, საქართველოში შემომავალი ყველა გადმოსასვლელიდან. ქვეყანა მტრის ძალების რკინის სალტეში აღმოჩნდა მომწყვდეული. 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მთავარსარდალმა მოახსენა მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ქორდანიას უკიდურესად მბიმე მდგომარეობის შესახებ (იხ: რუკა №3). გაიცა თბილისის დატოვების ბრძანება. ალ. ჩხეიძე, რომელიც აქტიურად ადევნებდა თვალს ფრონტზე მიმდინარე მოვლენებს გადმოგვცემს: „სტრატეგიული ომი წავაგეთ; მმართველობა, ხალხი და ჯარი არ იყვნენ მომზადებული ასეთი სერიოზული ომისათვის; თბილისთან ტაქტიკური გამარჯვებანი სავსებით ეკუთვნიან გენ. კვინიტაძის საქმიანობას და უდავოდ მის სახელს უნდა მიენიჭოს. ჩვენი სტრატეგიული მარცხი კი გამომდინარეობს იმ პირობებიდან, რომელიც შექმნეს გენ. კვინიტაძის წინამორბედებმა და სამხედრო, სამოქალაქო მოღვაწეებმა. ამიტომ დამარცხებაც ერთიანად მათ ეკუთვნით“. ალბათ დამეთანხმებით, საქართველოს მკაცრი შეფასეება, თუმცა რეალური. ჩვენ, აქ არ შევუდგებით დამარცხების მიზეზების კვლევას; ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა აზრი არსებობს და მიგვაჩნია, რომ ეს ცალკე კვლევის საგანია.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარმა თბილისი დატოვა. 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა ჯარი თბილისში შემოიჭრა. დემოკრატიული რესპუბლიკის ძალებმა, ვერ მოასწრეს მცხეთის პოზიციებზე გამაგრება და უკან დახევა განაგრძეს. ბრძოლები მოხდა გორის მიდამოებში, სურამის ქედზე, ზემო იმერეთის ვიწრო ხეობებში. დამარცხება სახეზე იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადადის, საიდნაც ემიგრაციაში მიემგზავრება. მათთან ერთად გაემგზავრნენ სამხედრო პირები და მათ შორის ქართველი იუნკრები.

ცოცხლად გადარჩენილ ქართველ პატრიოტებს სასტიკად დევნიდა „ჩეკა“\*. ეს იყო კოლეგიალური ორგანო, რომელიც რუსეთის ყოველი მხრიდან ჩამოსული უსასტიკესი ჯალათებისაგან შედგებოდა. „ჩეკას“ თავმჯდომარე იყო ებრაელი მოგილიოვსკი, იგი იყო ძერუინსკის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი. მოგილიოვსკი ქართველების დიდი მტერი იყო. მისი ბრძანებით დაიხვრიტა ქართველი ერის საუკეთესო შვილები: 200 ქართველი სტუდენტი, 400 მუშა, 1000 ოფიცერი და ინტელიგენტი, 7000-მდე გლეხი. მისი უახლოესი თანაშემწები იყვნენ სამხრეთ რუსეთში კარგად ცნობილი პანკრატოვი და სომეხი ათარბეგოვი. მათთან ერთად მოქმედებდა ლავრენტი ბერია, რომელმაც დაახვრეტინა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული 1000 აზერბაიჯანელი გლეხი. ბოლშევიკური ჯალათებიდან აღსანიშნავია: მოროზი – რუსი, ოგანეზოვი და პეტროსიანი – სომხები, შულმანი – ებრაელი. ბოლშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი ძალაუფლება დამყარებული იყო, მხოლოდ წითელარმიელთა ხიშტებზე. მათი ნება და ავტორიტეტი დამოკიდებული იყო ტერორზე, რომელმაც უამრავი მსხვერპლი შეიწირა იმ ადამიანების სახით, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მათ კოლონიურ რეჟიმს. ბოლშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ სამხედრო სკოლის ერთ-ერთ დამარსებელს, –

ალ. ჩხეიძეს. მეორე მსოფლიო ომის დროს, რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების ძალით, ბოლშევიკებმა ქალაქი ლვოვი დაიკავეს და იმ დროს, იქ მყოფი ალ. ჩხეიძე დააპატიმრეს. გერმანელთა შეტევის შემდეგ, ლვოვი დატოვეს და ალ. ჩხეიძე თან წაიყვანეს, გზაში სადღაც მოსპეს და მისი კვალი გააქრეს. უპატრონოდ და უსახსროდ დარჩენილი მისი მეუღლე, გენერალ კვინიტაძის და, ქალბატონი სოფიო, რომელსაც ორი, ტყუპი ვაჟი, მანამადე დაეღუპა, ხანში შესული და სუსტი, თურქესტანში გადასახლეს და ძროხების მწველავად გაამწესეს. მან ვერ აიტანა მძიმე შრომა, დაავადდა და საქართველოში დაბრუნებული, მოკლე ხანში გარდაიცვალა. ასე გაუსწორდა კომუნისტური რეჟიმი, ქართველ პატრიოტებს. რაც შეეხება გიორგი კვინიტაძეს, იგი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზში და იქვეა დაკრძალული.

ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, სამხედრო გენერალიტეტის დიდი ნაწილი, იუნკრებთან ერთად საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წავიდა, იმ მიზნით, რომ იქედან გაეგრძელებინათ ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. სამხედრო სკოლის დაარსებიდან 15 წლის თავზე, ემიგრაციაში მყოფი გენერალი გიორგი კვინიტაძე ასე მიმართავს ქართველ იუნკრებს: „თხუთმეტი წელიწადი შესრულდა, რაც დაარსებული იყო ჩვენი ქართული სამხედრო სკოლა. თხუთმეტი წელიწადია, რაც თქვენ გახდით იუნკრებათ. ეს სახელი შეგრჩათ და შეგრჩებათ სამუდამოდ, იქნებით ლეიტენანტი, კაპიტანი, პოლკოვნიკი, გენერალი ან სხვა სახელწოდების მატარებელნი, – სახელი „იუნკრები“ თქვენია და ეს არა იმიტომ, რომ იყავით სამხედრო სკოლაში, არამედ იმიტომ, რომ იყავით ერთად, ერთ ჯგუფად, სამხედრო სკოლის შემადგენლობაში და შედეულდით ტაბახმელის ომში. იქ დაამტკიცეთ, რომ არ მომკვდარა საქართველო, რომ გასაჭირ დროს მიუხედავად ხელშემშლელი პირობებისა, ჩვენ ქვეყნას აქვს ძალა დაემსგავსოს ძველებურს საქართველოს და თავის წიაღიდან წამოაყენოს ძველი გმირები, ჩვენი წინაპრები.

ვამაყობ, რომ გახლდით თქვენი უფროსი; ვამაყობ, რომ – არ გეწყინოთ, – ჩემი იუნკრები გახდნენ საქართველოს სიამაყედ; ვამაყობ, რომ უცხოეთში ყოფნის დროსაც თქვენ ყველგან ხართ პირველნი და სახელის მომხვეჭნი.

ჩვენ ვერ შევიმაგრეთ სამშობლო; ამაში თქვენ ბრალი არ გედებათ: ნათქვამია, ძალა აღმართსა ხნავსო. თქვენ მიიღეთ მონაწილეობა იმ ომში, რომელიც ჩვენი შვილების და შვილთა-შვილებისათვის დარჩება სიამაყედ.

არიან ისეთი პირები, რომელნიც სძრახავენ თბილისის ბრძოლას. მათ არ გაეგებათ, რომ ისინი ამით თავის თავს ლაფს ასხამენ, თავის თავს ლანძღვენ; ეს არ გახლავს ქართველთა ჩვეულება, – ეს არის რუსებისგან შეთვისებული.

თქვენ უნდა იამაყოთა იმით, რომ თქვენ დაიბადეთ ქართულ ჯარში, რომ ომისათვის ქართულ ჯარში, რომ სახელი მოიხვეჭით ქართულ ჯარში, რომ გმირები ხართ ქართული ჯარისა. იყავით დარწმუნებულნი, რომ ის ერი, სადაც იბადებიან „იუნკრები“ და „შეფიცულნი“, ის ერი არ მომკვდარა. მე არ გისურვებთ მარტო ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. თქვენ სხვა საქმეც გელოდებათ. მე გისურვებთ, რომ როცა დრო დადგება, თქვენ გამოხვიდეთ ასპარეზზე ღირსნი თქვენი წინაპრებისა, ღირსნი თქვენი ტაბახმელისა. ამ განსაცდელში გისურვებთ სიმაგრეს და გამარჯვებას. ბარაქა თქვენს მუშაობას და თქვენს მარჯვენას.“

გ. კვინიჭაძე  
1934 წ.

იუნკრების გვერდით თავგანწირვით იბრძოდნენ ფრონტზე მოხალისედ წასული სტუდენტები. ახლადშექმნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პირველები გამოეხმაურნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწოდებას და იმთავითვე ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. 1921 წლის 16 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ მთავრობის წარმომადგენლები — გრიგოლ ლორთქიფანიძე და გრიგოლ რცხილაძე. სტუდენტებთან შეხვედრა სასწავლებლის ერთ-ერთ დღი აუდიტორიაში დაიწყო, თუმცა დასწრების მსურველთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა, რის გამოც, მიუხედავად თებერვლის სუსხიანი ამინდისა, შეხვედრის მონაწილეებმა უნივერსიტეტის ეზოში გადაინაცვლეს. პირველი სიტყვით ახალგაზრდებს გრიგოლ ლორთქიფანიძემ მიმართა და მათ წმინდათა წმინდა მოვალეობის შესრულების— სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა. ყველაზე დიდი გავლენა სტუდენტებზე უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის გამოსვლამ მოახდინა. მან შემდევი სიტყვით მიმართა იქ შეკრებილ ახალგაზრდებს: „შვილებო! ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერთს ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებთ“.

ამ მოწოდებიდან დღიდი დრო არ გასულა და საქართველოს გმირთა გალერეას მრავალი სახელოვანი მამულიშვილის სახელი შეემატა. მათი ღვაწლის წარმოჩენა და დაფასება დღევანდელი მკვლევარის მოვალეობაა. კომუნისტური რეჟიმის მარწუხებში მოქცეული საქართველო, ვერ ბედავდა მათი სახელების ხმამაღლა წარმოთქმას, იგივე მდგომარეობაში იყვნენ ამ გმირების ოჯახის წევრები და ახლობლებიც. უნივერსიტეტში შეკრების დღესვე, სტუდენტობა გაემართა მთავრობის სასახლისაკენ, სადაც მათ მიესალმნენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანია და უნივერსიტეტის პროფესორი შალვა ნუცუბიძე. იქვე შედგა რამდენიმე რაზმი, რომელიც ოქროყანა-წავისის გავლით, პირდაპირ ფრონტის ხაზისაკენ გაემართა. 17 თებერვალს, სწორედ, იმავე მიმართულებით წავიდა ქართული სამხედრო სკოლის კურსანტთა (იუნკერთა) 350 კაციანი რაზმი, სახელოვანი მეთაურის ალექსანდრე ჩხეიძის ხელმძღვანელობით. მათი გმირობის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ.

ქალებს უარს ეუბნებოდნენ ფრონტზე წამსვლელ მოხალისეთა რაზმში ჩაწერაზე, მაგრამ უნივერსიტეტის სტუდენტი მარო მაყაშვილი ბრძოლის ველზე მოწყალების დად წავიდა. მოხალისედ ჩაწერა მაროს ძმა — შალვა მაყაშვილიც. 17 თებერვალს, წითელ ჯვარში მოწყალების დად ჩაწერილი მეორეკურსელი მარიამ მაყაშვილი კოჯრისაკენ მიმავალ რაზმს გაჰყვა. ამ რაზმა დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქის დასაცავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა. ფრონტიდან მამისადმი გაგზავნილ უკანასკნელ წერილში მარო წერდა: „საყვარელო მამა! მე ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისაგან 1/2 ვერსზე ვართ, მეორისაგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის ძალიან. სცხებენ ჩვენები. ძალიან

აღფრთოვანებულები არიან. შალიკოს (მაროს ძმა ლ. ს.) ამბავი გამიგეთ მხოლოდ ყველანი ძალიან მაღლიერნი არიან ჩემით. გკოცნით ბევრს. ცოტა თბილი თუ შესაძლებელია და რამე ტკბილი გამომიგზავნეთ, თუ რასაკვირველია შესაძლებელია. თავს გაუფრთხილდით, გკოცნით ბევრს. ისე არ ცივა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეშინიათ გავიმარჯვებთ სახელოვნად. შენი მარო“.

19 თებერვალს გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ იმსხვერპლა მარიამ მაყაშვილის სიცოცხლე. ოთხშაბათ დღეს, 23 თებერვალს, 21 იუნკერთან ერთად, იგი სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს. ქვაშუეთის ტაძარში ესვენა, სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაჟკაცთა ცხედრები, მათ შორის იყო თეთრი ხილაბანდით თავწაკრული, 20 წელს მიუღწეველი გოგონას, – მარიამ მაყაშვილის ნეშტი.

სამწუხაროდ, სამხედრო ტაძრის გალავანში დაკრძალული ქართველი მეომრების, როგორც სამხედრო სკოლის იუნკრების, საფლავები აღარ შემოგვრჩა, რადგან სამხედრო ტაძრის ნანგრევებზე, სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირთა საფლავებზე, სულ მცირე დროში ბოროტების სიმბოლოსავით წამოიჭიმა გასაბჭოვებული საქართველოს მთავრობის სასახლე (დღეს იმ ადგილზე არის პარლამენტის შენობა). სიმბოლურია, რომ სწორედ, აქ, ქართველი გმირების საფლავებზე, 1989 წლის 9 აპრილს, კვლავ დაიღვარა ქართველთა სისხლი, ისინიც ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით იყვნენ, იქ შეკრებილნი და იგივე რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში დამყარდა სწორედ, 1921 წლის შემდეგ, რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ძალით გასაბჭოების შედეგად.

ყოველი სამგლოვიარო წერილი, რომელიც იმ დროს მრავლად იყო მაშინდელი პრესის ფურცლებზე, (ვიდრე წითელი არმია საბოლოოდ დაიპყრობდა საქართველოს), ყოველი გამოსათხოვარი, ქართველ გმირებთან, იყო ერთი მთლიანი დატირება დამოუკიდებელი საქართველოსათვის შეწირული მეომრებისა, რომელთა საგმირო საქმეები დროებით დაიმარხა თავისუფალ საქართველოსთან ერთად. დიახ, დროებით ამას იმიტომ ვამბობ, რომ მათ ხსოვნას სწორედ, დროებით მიაყარა დავიწყების ფერფლი იმ რეჟიმმა, რომლის წინააღმდეგაც ისინი ასე შეუპოვრად, ასე თავგანწირვით იძრმოდნენ. მადლიერი ქართველი ერი არ ივიწყებს თავის სახელოვან მამულიშვილებს, მათ მიერ გაღებული თითოეული წვეთი სისხლი ისეთივე წმინდა და სპეტაკია ჩვენთვის, როგორც ჩვენი სამშობლო – საქართველო. მათი საგმირო საქმეები, საბრძოლო თვისებები, შეუდრეკელი ხასიათი, დღესაც სიამაყით განაწყობს ჩვენს მომავალ თაობებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, იუნკრების დიდი ნაწილი ქართველ გენერლებთან და ოფიცრებთან ერთად, ემიგრაციაში გაემგზავრნენ, იმ იმედით, რომ უცხოეთის სამხედრო სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას, კვლავ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მოახმარდნენ. ცნობილია საზღვარგარეთ წასულ იუნკერთა შემდეგი სია: 1. ნანუაშვილი ივანე, 2. მათიკაშვილი ნიკოლოზი, 3. ლალიძე დავითი, 4. აბაშიძე ვახტანგი, 5. ხუნდაძე გენადი, 6. მრევლიშვილი გიორგი, 7. ციბაძე ლადო, 8. ლობჟანიძე ილარიონი, 9. ჯავახიშვილი გიორგი, 10. სომხიანცი მელიქი, 11. კაკაბაძე ილია, 12. ბახუტაშვილი, 13. კეზელი ლევანი, 14. ბალახვანელი საველი, 15. თინიკაშვილი ბორისი, 16. აბულაძე პროკოფი,

17. კიკიანი გრიგოლი, 18. ყიფიანი დავითი, 19. ყიფიანი, 20. რატიშვილი ჭატო, 21. ლალიძე დიმიტრი, 22. ლალიძე ლადო, 23. ფურცელაძე პავლე, 24. წითლანაძე თადეოსი, 15. ზაუტაშვილი იოსები, 26. თაყაიშვილი პლატონი, 27. ნიკოლაძე შოთა, 28. ბოკუჩავა გრიგოლი, 29. მახარაძე ლადო, 30. დადიანი მიხეილი, 31. ერისთავი, 32. იაშვილი გრიშა, 33. ბაქრაძე ივანე, 34. უგრეხელიძე ვიტალი, 35. ჩხეიძე დავითი, 36. ჩხეიძე გრიგოლი, 37. კობიაშვილი სვიმონი, 38. კვალიაშვილი მიხეილი, 39. ნაცვლიშვილი ფარნაოზი, 40. ხელაძე, 41. სხირტლაძე არკადი, 42. აღნიაშვილი დიმიტრი, 43. ყაზბეგი ირაკლი, 44. ლომიძე ვიქტორი, 45. კიკნაძე მიხეილი, 46. თუმანიშვილი.

იუნკრების დიდმა ნაწილმა, ძირითადად საზღვარგარეთ, პოლონეთსა და საფრანგეთში, გააგრძელა მოღვაწეობა. მხოლოდ რამდენიმე თუ დაბრუნდა საქართველოში. სამშობლოს მომავალზე ფიქრით დამაშვრალი იუნკრები, ელოდნენ ხელსაყრელ დროს სამშობლოში ჩამოსასვლელად. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა მშობლიური მიწის ნაცვლად, უცხოეთში განისვენებს. მათ შორისაა იუნკერი-პროკოფი ქაიხოსროს ძე აბულაძე, ქუთაისელი კაცი, რომელიც 1931 წლის 22 სექტემბერს გარდაიცვალა საფრანგეთის ქალაქ ნიცაში.

ყოფილი იუნკერი, ემიგრაციაში ყოფილი პერიოდში შორიდან შესტრფოდა თავის სამშობლოს; იგი იყო მთავარი ხელმძღვანელი იუნკერთა კავშირის ბეჭდური ორგანოსი – „მხედარი“. აქ, „რეო ამონი-ს“ ფსევდონიმით იგი ათავსებდა მშვენიერ ლექსებს სამშობლოზე. ერთ-ერთ თავის ლექსში – „გზაზე“, ყოფილი იუნკერი ასე უმღერის მონატრებულ თბილის:

„თბილისო გახსოვს ბევრი ამბები,  
ათასი წლები შენს ფერხთან ჰყრია;  
შემოგირკინავს ჭანს დარაბები  
და ისტორიამ ვერ დაგამტვრია...  
პოეტებს ასმევ სიცოცხლეს პეშვით;  
თაფლისფერ კალთებს სურნელ-მთვარიანს,  
დაგიკოცნიან მწყურვალე ეშხით,  
აჯღერებულნი შენთან არიან“.


ქართული სამხედრო სკოლის იუნკრები მომავალში კიდევ უფრო ღირსეულ ადგილს დაიჭირენ საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. მათი საგმირო საქმეები თაობიდან თაობას გადაეცემა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა თებერვლის ომთან დაკავშირებით, ყველა თანხმდება ერთ რამეში: ქართველმა იუნკრებმა ბოლომდე თავგანწირვით იბრძოლეს. 17-19 წლის ყმაწვილები, თბილისთან ბრძოლაში საკუთარი მკერდით აკავებდნენ ბოლშევიკების შემოტევებს. ომის შედეგების შეფასებისას ემიგრაციაში მყოფი გენერალი შაქრო ბაქრაძე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლებში, ომში დამარცხების მიზეზების შეფასებისას 1934 წელს წერდა: „დროა სიმართლეს ღია თვალებით შევხედოთ. რაც უნდა იგი მწარე არ იყოს, რომელმაც დაგვლუპა; ამის მიზეზები უნდა გამოირკვნენ და ამიტომ ნამდვილ ფაქტებს უნდა გავუწიოთ ანგარიში. ეს არის ყველა ქართველის მოვალეობა სამშობლოს წინაშე, და არავის არა აქვს უფლება სიმართლის გამოქვეყნება საწყენად მიიღოს, რათა ეს არის საერთო საქმე, (ეს ყველაფერი ლ. ს.) სამშობლოს სახელით

და მის სასარგებლოდ კეთდება, და არა პირადის. ეს ერთი, მეორე ისაა, თუ ამაში რამე საწყენია, ყველა ქართველისათვის ერთნაირად არის საწყენი, რაც მოხდა ეს უკვე ისტორიაში ჩაიბარა, და ყველა ჩვენგანი მოვალეა ისტორიულ გამორკვევას ხელი შეუწყოს და გაუადვილოს სწორი დასკვნის გამოტანა, რათა ამის საშუალებით მომავალში გავასწოროთ ჩვენი შეცდომები“. შეუძლებელია არ დაეთანხმო ქართველ გენერალს. წარსული ისტორიის შეულამაზებლად, ობიექტურად წარმოჩენა თავიდან აგვაცილებს, ისტორიის ამა თუ იმ პერიოდში დაშვებულ შეცდომებს. სწორედ, ამაზე იტყოდა ვაჟა ფშაველა: „ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება რამდენადაც აწმყოსათვის, აწმყოს ცხოვრებისათვის, იგი გვაფრთხილებს შეცდომებისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ. ვხედავთ მიზეზს და მიზეზთან ერთად შედეგს, შეცდომას“.


მართლაც, რომ ასეა: ისტორია, შესაძლოა ზუსტად ვერ გვასწავლის რა გვკეთოთ, მაგრამ გვგარნახობს რა არ გაგაკეთოთ.

თბილისის მისადგომებთან ამსახველი ბრძოლების სამჩედრო რუკები:  
(რუკები აღებულია აღ. ჩეხიძის ნაშრომიდან „სამჩედრო სკოლა“,  
შურნ., „მხედარი“, №13, პარიზი 1933წ.)


## 1. რეკვის №1



## 2. რუკა №2



### 3. რუკა №3



## დანართი

ქართული სამხედრო სკოლის შემადგენლობა 1921 წ.

(მონაცამები აღებულია აღ. ჩხეიძის ნაშრომიდან „სამხედრო სკოლა“, ჟურნ. „მხედარი“ №13, პარიზი, 1933წ.)

გენერალი კვინიტაძე – პირველი სკოლის უფროსი: 15. 8. 1919 წლიდან 1.10.1920 წლამდე.

გენერალი ანდრონიკაშვილი – 1.10.1920 წლიდან 16.2.1921 წლამდე.

პოლკოვნიკი ჩხეიძე – სკოლის უფროსის თანაშემწე და ნაცვალთა ათასეულის უფროსი – ფრონტზე გასვლის დღიდან – სკოლის უფროსი.

კაპიტანი ზელაშვილი – სკოლის ადიუტანტი.

### სასწავლო ნაწილი

პოლკოვნიკი ჩხეტიანი, შემდეგ პოლკოვნიკი ვეზირიშვილი – კლასების ინსპექტორი.  
ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი – წიგნსაწყობის გამგე.

### სამნეო ნაწილი

მაიორი მესხელი – სკოლის მწე.

კაპიტანი მახარობლიძე – მოლარე.

ლეიტენანტი მჭედლიშვილი – მებინე.

### სასანიტარო ნაწილი

კალანდარაშვილი მოსე – უფროსი ექიმი.

იშხნელი მიხეილი – უმცროსი ექიმი.

### სამწყობრო ნაწილი

#### იუნკერთა ასეული

მაიორი ანანიაშვილი; კაპიტანი შავდია; კაპიტანი ჩოჩუა; კაპიტანი ზოშტარია; კაპიტანი ჯაფარიძე; კაპირანი ქარუმიძე – არტილერია; კაპიტანი თოიძე – ინჟინერი; კაპიტანი სულხანიშვილი.

#### ნაცვალთა ათასეული

პირველი ასეული: მაიორი გარდაფხაძე, კაპიტანი მაჭავარიანი, კაპიტანი ადამიძე.

მეორე ასეული: მაიორი აბულაძე, კაპიტანი ბალუაშვილი, კაპიტანი ალავიძე, კაპიტანი ჭიჭინაძე.

მესამე ასეული: მაიორი ბალუაშვილი, კაპიტანი გვასალია, კაპიტანი რევია, კაპიტანი სანიკიძე.

სანაპირო ასეული: მაიორი სიმაშვილი, კაპიტანი ყიფიანი.

ტყვიამფრქვეველების ასეული: მაიორი შერვაშიძე, კაპიტანი არონიშიძე, კაპიტანი არდაზიანი, კაპიტანი მჭედლიშვილი.

**ბატარეა:** მაიორი ბახუტაშვილი, კაპიტანი ბარნაბიშვილი, კაპიტანი ყარალაშვილი, კაპიტანი ქავთარაძე.

**ცხენოსანი მწყობრი:** ლეიტენანტი მაყაშვილი,

**ტაბახმელაზე ბრძოლის დროს თავის ნებით მოსულები:** ლეიტენანტი ერისთავი, ლეიტენანტი ბარამიძე, ლეიტენანტი სულუხია, ლეიტენანტი თავძერაძე.

### იუნკრების სია ქვეითთა ასეული

(სიაში არის მოყვანილი 152 იუნკერი; ამათგანი – 4 საავადმყოფოში იყო, 12 იყო გაგზავნილი რეკრუტების მოსაყვანად გამომწვევ პუნქტებზე და 18 გადაცემულნი იყვნენ ტყვიამფრქვეველ ასეულში; ამნაირად იმ ასეულში, რომელიც იბრძოდა ტაბახმელასთან, იმყოფებოდა 118 იუნკერი.)

აბაშიძე ვარლამ, აბაშიძე კონსტანტინე, ავალიანი შალვა, ამირაჯიბი დიმიტრი, ანდრონიკაშვილი არჩილ, ანდრონიკაშვილი გიორგი, ასათიანი მამუკა, ახვლედიანი ალექსანდრე, აღლაძე ირაკლი, აფხაძე ტიმოთე, აღნიაშვილი ნიკოლოზ, არჯევანიძე ალექსანდრე, ბარნაბიშვილი ივანე, ბარნაბიშვილი მიხეილი, ბახუტაშვილი სიმონ, ბარამიძე ბენია, ბაქრაძე ივანე, ბალახვანელი საველი, ბოკუჩავა გრიგოლ, გაბუნია კონსტანტინე, გეგეჭკორი ვალერიან, გეთა მიხეილ, გელაძე მიხეილ, გელაშვილი სპირიდონ, გენძეხაძე შალვა, გოგოლაშვილი ნიკოლოზ, გორდეზიანი ამბროსი, გიგინეიშვილი ვასილ, გიორგაძე ვლადიმერ, გლოვაცი ალექსანდრე, დათებაშვილი აკაკი, დანელია ნიკოლოზ, დგებუაძე ნიკოლოზ, დოლიძე პლატონ, დონაძე გედევან, ერქომაიშვილი ალექსანდრე, ერისთავი შალვა, ვაჩნაძე დავით, ვახვახიშვილი ნიკოლოზ, ვეფხვაძე ივანე, ზაუტაშვილი იოსებ, ზალდასტანაშვილი გიორგი, ზედგენიძე გიორგი, თაყაიშვილი პლატონ, თარხანიშვილი ალექსანდრე, თინიკაშვილი ბორის, იაშვილი გრიგოლ, იაშვილი კონსტანტინე, იაშვილი ალექსანდრე, იაშვილი სიმონ, ივანიძე ნიკოლოზ, იოსავა აბესალომ, იოსელიანი ტიმოთე, კაკაბაძე დავით, კაკაბაძე ილია, კანდელაკი ლევან, კავკასიძე ვლადიმერ, კალანდარაშვილი დავით, კასრაძე ვასილ, კვარაცხელია გრიგოლ, კვალიაშვილი მიხეილ, კვიკვინიძე მიხეილ, კვინიხიძე მიხეილ, კეკუაძე კლემენტი, კელენჯერიძე დავით, კეზელი ლევან, კერესელიძე ივანე, კობიაშვილი სიმონ, კინტურაშვილი ალექსანდრე, კუმარიტაშვილი ალექსანდრე, ლაფაური ნიკოლოზ, ლალიძე ვლადიმერ, ლობჟანიძე ილარიონ, ლორთქიფანიძე ოთარ, ლორთქიფანიძე ალექსანდრე, ლორთქიფანიძე ირაკლი, ლოლაძე კონსტანტინე, ლოლუა მიხეილ, ლომკაცი გიორგი, ლექავა ვასილ, ლოსაბერიძე გობრონ, მატახერია ლავრენტი, მაყაშვილი ბორის, მაჩაბელი ივანე, მამუჩაიშვილი დავით, მარკოზაშვილი ლავრენტი, მათიკაშვილი ნიკოლოზ, მდიგანი დავით, მირზაშვილი რევაზ, მორჩაძე დავით, მრელაშვილი გიორგი, მჭედლიშვილი აპოლონ, ნანუაშვილი ივანე, ნიკოლაიშვილი ნიკოლოზ, ოდიშელიძე გიორგი, ოქროპირიძე ზაქარია, ოქროპირიძე იოსებ, ომარაშვილი მეოფიტე, სალინაშვილი ნიკოლოზ, სალინაშვილი გიორგი (1), სალინაშვილი გიორგი (2), სალინაშვილი ევგრაფი, სამხარაძე ბაგრატ, სომხიანცი მელიქი, სიდამონ - ერისთავი ილია, სისაკიანცი არამი, სიმონიშვილი ივანე, სხირტლაძე არკადი, ტატიშვილი ზურაბ, ტატიშვილი ალექსანდრე, ტურაშვილი ალექსანრე, ტოროყაშვილი მიხეილ, ტყეშელაშვილი ირაკლი, უგრეხელიძე ვიტალი, ფანცულაია ალექსანდრე,

ფავლენიშვილი რევაზ, ფერაძე პავლე, ფურცელაძე გიორგი, ფხაკაძე ვასილ, ქაჯაია ვასილ, ქოშულია მიხეილ, ყიფიანი დავით, შავდია დავით, შვანგირაძე ონისიმე, ჩაჩიბაია კლემენტი, ჩაჩავა მიხეილ, ჩილოჩავა ალექსანდრე, ჩხეიძე გრიგოლ, ცერცვაძე ზაქარია, ციციშვილი კონსტანტინე, ცქიტიშვილი გიორგი, ძულიაშვილი გიორგი, წიკლაური ვლადიმერ, ჭილლაძე სოლომონ, ჭინჭარაძე ალექსანდრე (1), ჭინჭარაძე ალექსანდრე (2), ჭოლოშვილი სერგი, ხიმშიაშვილი ალექსანდრე, ხინველი ისაკი, ხიდირბეგიშვილი (?) ხუციშვილი დიმიტრი, ხუნდაძე გელევან, ჯავახიშვილი გიორგი (1), ჯავახიშვილი გიორგი (2), ჯანდიერი ილია, ჯანდიერი იოსებ, ჯანდიერი არჩილ, ჯაფარიძე ალექსანდრე, ჯაფარიძე ნიკოლოზ (1), ჯაფარიძე ნიკოლოზ (2), ჯამასპიშვილი ივანე, ჯანგვეტაძე ვახტანგ.

### **საინჟინრო განყოფილება**

აბაშიძე სიმონ, ბალუაშვილი გიორგი, ვარსიაშვილი ნიკოლოზ, იაკობაშვილი პავლე, კიკიანი გრიგოლ, რიჟამაძე მელენტი, ფერაძე ისიდორე, ხელაძე ვალერიან, ციბაძე ვლადიმერ, ჭუბაბრია დავით.

### **საარტილერიო განყოფილება**

აბულაძე პროკოფი, ბაქრაძე ვახტანგ, ვერულაშვილი ვასილ, თოხაძე ნიკოლოზ, ისაკანდრაშვილი ვახტანგ, ლალიძე დავით, მახარაძე ვლადიმერ, ნიკოლაძე შოთა, რატიშვილი გიორგი, რცხილაძე ნიკოლოზ, სიდამონ - ერისთავი ნიკოლოზ, ფურცელაძე შალვა, ღოლობერიძე მიხეილ, წითლანაძე თადეოზ, ხუხუნი კლემენტი.

### **ცხენოსანი განყოფილება**

დადიანი მიხეილ, გაჩნაძე იგანე, ლალიძე დიმიტრი, ნაცვლიშვილი ფარნაოზ, მიქაძე სერგო.

**1920 წ. 2 მაისს**

**მოკლული იუნკერი**

იუნკერი მაყაშვილი მიხეილ.

### **დაჭრილი**

იუნკერი კიკიანი გრიგოლ.

### **1921 წ. ომის დროს ტაბახმელაზე მოკლული ოფიცრები:**

მაიორი ანანიაშვილი - ასეულის უფროსი, კაპიტანი თოიძე - საინჟინერო განყოფილების უფროსი.

### **დაჭრილი ოფიცრები:**

კაპიტნები: შავდია, ხოშტარია, ჩოჩუა, ყიფიანი.

ლეიიტენანტები: ანდრონიკაშვილი, ერისთავი, მჭედლიშვილი.

### **მოკლული იუნკრები:**

ახვლედიანი ალექსანდრე, ღოლიძე პლატონ, ერისთავი შალვა, იაკობაშვილი პავლე,

კანდელაკი ლევან, ლორთქიფანიძე ოთარ, ლოლუა მიხეილ, ჯანდიერი ილია, ჯანდიერი იოსებ.

### დაჭრილი იუნკრები:

აბაშიძე ვარლამ, ავალიშვილი შალვა, ამირაჯიბი დიმიტრი, ასათიანი მამუკა, აღლაძე ირაკლი, ბალუაშვილი გიორგი, გორდეზიანი ამბროსი, გიორგაძე ვლადიმერ, დგებუაძე ნიკოლოზ, ვახვახიშვილი ნიკოლოზ, ვეფხვაძე ივანე, ზაუტაშვილი იოსებ, ზალდასტანიშვილი გიორგი, იაშვილი ალექსანდრე, იაშვილი სიმონ, იაშვილი კონსტანტინე, იოსავა აბესალომ, კეზელი ლევან, კუმარიტაშვილი ალექსანდრე, ლოლაძე კონსტანტინე, ლორთქიფანიძე ალექსანდრე, მამუჩაბიშვილი დავით, მორჩიაძე დავით, მირზაშვილი რევაზი, საღინაშვილი გიორგი (1), საღინაშვილი გიორგი (2), საღინაშვილი ნიკოლოზ, სიმონიშვილი გიორგი, სამხარაძე ბაგრატ, ტატიშვილი ალექსანდრე, ტატიშვილი ზურაბ, ფერაძე ისიდორე, ქაჯაია ვასილ, შავდია დავით, ჩხეიძე გრიგოლ, ცქიტიშვილი გიორგი, ჭილლაძე სოლომონ, ხუციშვილი დიმიტრი, ხინველი ისაკი, ხიდირბეგიშვილი (?), ჯაფარიძე ნიკოლოზი (1), ჯაფარიძე ნიკოლოზი (2), წიკლაური ვლადიმერი.

ამგვარად, მოკლული და დაჭრილი იყო 53 იუნკერი, ორი მათგანი იყო გამნალმველი, დანარჩენი 51 კი ქვეითთა ასეულიდან იყო, ამ ასეულს ორჯერ გამოეცვალა ოფიცრების შემადგენლობა.

### დამატებითი სია

ქართული სამხედრო სკოლის დახვრეტილი ოფიცრების და იუნკრების სია გენერალი ანდრონიკაშვილი (სკოლის უკანასკნელი უფროსი), მაიორი გარდაფხაძე (იუნკერთა ასეულის პირველი უფროსი), მაიორი ბახუტაშვილი (სკოლის ბატარეის უფროსი), იუნკრები: ანდრონიკაშვილი გიორგი, ზედგენიძე გიორგი, იაშვილი, ისკანდარაშვილი ვახტანგ, კერესელიძე ივანე, ფავლენიშვილი რევაზ, ჯამასპიშვილი ივანე, ჯანდიერი არჩილ.

### სკოლის პროფესორები 1919 – 1921 წლებში

გენ. შტ. გენერალი კვინიტაძე – ტაქტიკა, სამხედრო ისტორია.

გენ. შტ. გენერალი ზაქარიაძე – ტაქტიკა.

გენ. შტ. გენერალი ანდრონიკაშვილი – ტაქტიკა, ტოპოგრაფია.

გენ. შტ. გენერალი ბენაშვილი – ტოპოგრაფია.

გენერალი არჯევანიძე – ტოპოგრაფია.

გენერალი ი. გედევანიშვილი – სამხედრო ისტორია.

ინჟ. გენერალი თაყაიშვილი – ფორტიფიკაცია, მექანიკა, მასალების წინააღმდეგობა.

ინჟ. გენერალი თუმანიშვილი – ფორტიფიკაცია.

არტ. პოლკოვნიკი შკაბიჩი – არტილერია, სროლის თეორია.

არტ. პოლკოვნიკი მ. გედევანიშვილი – ზარბაზნების აგებულება, შიგნითა ბალისტიკა.

ინჟ. პოლკოვნიკი გურამიშვილი – ფორტიფიკაცია.

პოლკოვნიკი ვახვახიშვილი – ფორტიფიკაცია.

გენ. შტ. პოლკოვნიკი ნ. გედევანიშვილი – ტაქტიკა.  
გენ. შტ. პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი – სამხედრო გეოგრაფია.  
პოლკოვნიკი ცხაკაია – სამხედრო ადმინისტრაცია.  
ინტენდ. პოლკ. ციციშვილი – სამხედრო ადმინისტრაცია.  
სამხედრო ექიმი კალანდარაშვილი – სამხედრო ჰიგიენა.  
მაიორი ცხაკაია – ტოპოგრაფია.  
პროფესორი ივანე ჯავახიშვილი – ისტორია.  
ვასილ ბარნოვი – ქართული ლიტერატურა.

**ქართული ჯარის ორგანიზაცია 1919 წ. შტატების მიხედვით:**  
**სამხედრო მინისტრი:**

სამხედრო მინისტრის პირადი განყოფილება,  
სამხედრო მინისტრის კანცელარია,  
ტოპოგრაფიული განყოფილება.

**სამხედრო საბჭო: სამნეო განყოფილება:**  
საბიუჯეტო, სასურსათო, საბარგო-სანივთო, ტექნიკური, საარტილერიო, სასანიტარო,  
საბეითლო, ბინათა, კანცელარია.

**სამხედრო სამინისტროს განყოფილებანი:**  
თბილისის სადარაჯო ათასეული,  
სანაპირო რაზმები (სოხუმი, ფოთი, ახალციხე, შულავერი, თბილისი, დუშეთი).

**გენერალური შტაბის განყოფილებანი:**

**საოპერაციო სექცია:**  
სამწყობრო, სამობილიზაციო, მზვერავი, სამხედრო მიმოსვლის და კავშირის  
განყოფილებანი.

**საზღვაო სექცია:**  
არქივის წიგნთსაცავი, სამხედრო აღრიცხვის ნაწილი, სამხედრო ატაშები,  
კანცელარია, სამი საარმიო ბრიგადა.

**ბრიგადაში:**  
ოთხი ქვეითი ათასეული, ერთი არტილერიის დივიზიონი.

**მცირე გუნდები:**  
კავშირის, მზვერავის, უმწყობრო, მესაკრავეთა.

**საარმიო არტილერიის დივიზიონი:**  
სამ-დიუმიანი საველე ბატარეა, მძიმე ექვს-დიუმიანი ბატარეა, 48 ცენტ. 4 ზარბაზანი.

### **ცხენოსანი რაზმი:**

ოთხი ესკადრონი (ერთი ტყვევისმფრქვევლის), სასწავლო, კაგშირის, მესანგრეტა, მესაკრავეთა.

### **მესანგრეთა ათასეული:**

მესანგრეთა ორი გუნდი, სატელეგრაფო ორი გუნდი.

### **ავტომობილთა გუნდი:**

ავტომობილთა სამი მწყობრი, ერთი ჯავშნოსანი მწყობრი.

### **საავიაციო გუნდი:**

საავიაციო გუნდი, სამხედრო საავიაციო სკოლა.

### **რადიო-ტელეგრაფის გუნდი:**

ორი მუდმივი სადგური, ორი საველე სადგური, ერთი პარკი.

### **სამხედრო სკოლა:**

იუნკერთა გუნდი, ნაცვალთა ათასეული.

### **განყოფილებანი: ქვეითი**

ცხენოსანი, არტილერიის, საინჟინრო.

ფოტოსურათები აღებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმის გურამ შარაძის პირადი ფონდიდან



გიორგი კვირიტაძე



ალექსანდრე ჩრეიძე



ალექსანდრე ანდრონიკაშვილი

ალექსანდრე ჩრეიძე



კადეტთა კორპუსი

## განმარტებითი ლექსიკონი\*

**ანტარტია** – სამხედრო ბლოკი, რომელიც ჩამოყალიბდა 1914 წელს. მასში შედიოდნენ: ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია.

**ბორის ძელაძე** – საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, რომლის ძეგლი იდგა ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში და აიღეს XX ს-ის 90-იან წ-ში.

**არეოპაგია** – აქ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გულისხმობს იმ დროისათვის არსებულ ევროპულ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

**დამფუძნებელი კრება** – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის 1919 წლის 31 იანვრის დადგენილებით, შეწყდა მისი მოღვაწეობა და დაინიშნა დამფუძნებელი კრების არჩევნები. ამავე წლის 12 მარტს, თბილისში მოწვეული იქნა დამფუძნებელი კრება, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იყო ცნობილი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, წარმოადგენდა საკანონმდებლო და კონტროლის გამწევ ორგანოს. მის ფუნქციებს შეადგენდა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება, მთავრობის შექმნა, სხვადასსხვა კანონებისა და დებულებების მიღება- დამტკიცება, ჯარისა და ფლოტის განმტკიცება, ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება.

**დამფუძნებელი კრება** ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს რევკომ-ის 1921 წლის №7 დადგენილების ძალით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო.

**დე იურე** – ქვეყნის იურიდიულად ცნობა (აღიარება).

**კიაზიმ კარა ბექირი** – ოსმალეთის ჯარების ერთ-ერთი მხედართმთავარი XX ს-ის 20-იან წლებში.

**ნაცვალი** – ძველი რუსეთის არმიის ოცმეთაური.

**რკპ (ბ)** – რუსეთის კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების კომიტეტი.

**ტროცკი** – არის ფსევდონიმი ბოლშევიკური რუსეთის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის, – ლევ დავითის ძე ბრონშტეინის.

**„ჩეკა“** – განსაკუთრებული საგამოძიებო კომიტეტი, რუსული სიტყვების „Чрезвычайный комитет“ დასაწყისისგან არის შედგენილი. ეს ორგანიზაცია დაუნდობლად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირებს.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ავალიშვილი ზ., „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, პარიზი, 1924; თბ., 1929.
- ბენდიანიშვილი ალ., „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ)“.
- გაბაშვილი რ., „რაც მახსოვს“ ქართულ ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“ ტ. III თბ., 1992.
- გურული ვ., ვაჩნაძე მ. „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ., 1998.
- დაუშვილი რ., „ამბავი კიდევ ერთი იუნკერისა“ (ეძღვნება ვანო ბაქრაძეს), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 თებერვალი 1991.
- ზურაბიშვილი ივ. „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“ პარიზი 1935
- ინასარიძე კ., „პატარა ოქროს ხანა“, მიუნხენი 1984.
- კვინიტაძე გ., რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის ბრძანება, გაზ. „ერთობა“, №209, 14 სექტემბერი, 1920.
- კვინიტაძის გ., მიმართვა: ჩემს იუნკრებს, ჟურნ. „მხედარი“, რვეული მე-10, პარიზი, 1934.
- კვინიტაძე გ., „მოგონებები საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში 1917-1921 წ.წ.“ გამომც. „ლომისი“, თბილისი 1998.
- ქვინიტაძე გ. „მიმართვა: ჩემს იუნკრებს, ჟურნ. „მხედარი“, რვეული მე-10, პარიზი, 1934.
- კვინიტაძე გ., შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ“, წიგნი I, თბ., „მერანი“, 1991 წ., გვ. 84-93.
- ლორთქიფანიძე გრ., „ფიქრები საქართველოზე“ თბილისი, 1995.
- მანველიშვილი ალ., „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“, სან ფრანცისკო, 1884.
- Manvelichvili A., „Histoire de Géorgie“. Nouvelle éditions de la Toison d'or, Paris, 1951.
- ჟურნალი „მხედარი“, № 11, პარიზი, 1931.
- ნანუაშვილი ვ., „სამხედრო სკოლა“, ჟურნალი „მხედარი“, (ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანო), №1, პარიზი, ივნისი, 1929.
- ჟორდანია ნ., „ჩემი წარსული“ (მოგონებები), პარიზი, 1953 წ., თბ., 1990.
- რამიშვილი აკ., ილჭავჭავაძის სახ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცული პირადი არქივი.
- რამიშვილი ნ., „საქართველო და რუსეთი“, პარიზი, 1924.
- საითიძე გ., „პირზე ღიმილი შერჩათ იმ გმირებს “ ჟურნალი „რაინდი“ (ქაქუცა ჩოლოყაშვილის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი), №1, 2008.
- Trotski L., „Entre l'imperialisme et la révolution“, Paris, 1923, p: 78.
- Ferrand Jacques, „Familles princières de Géorgie“, Paris, 1983, p: 123.

- ღვენეფაძე ნ., „პირველი მსხვერპლი ქალი“ (ეძღვნება მარო მაყაშვილს), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 თებერვალი 1991.
- შარაძე გ., თბილისის ივ ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმში დაცული პირადი ფონდი და ფოტოები.
- ჩხეიძე ალ., „ჩემი მოგონებების განმარტებანი გამოწვეული კრიტიკით“, ჟურნ. „მხედარი“, №16, 1933, გვ. 56.
- ჩხეიძე ალ., „სამხედრო სკოლა“, ჟურნ. „მხედარი“, №13, პარიზი, 1933.
- ცხაკაია ვ., „ცოტა რამ გენ. ალ. ჩხეიძის მოგონებაზე“, ჟურნ. „მხედარი“, №14-15, პარიზი, აპრილი-ივლისი, 1933.
- ხუბულური ლ., „სადაურსა სად წაიყვან ბედო“ (ეძღვნება მიხეილ კვალიაშვილს), გაზ. „კომუნისტი“, 23ივნისი, გვ: 3, 1990.
- ჯანელიძე ო., „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923 წლებში“, თბ., 1999.
- ჯანელიძე ო., „სპირიდონ კედია (პოლიტიკური პორტრეტი), თბ., 2002.